- „ნეიტრალური“ – მოიცავდა კატეგორიას: „არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები“;
- „უარყოფითი“ – აქ დაჯგუფდა კატეგორიები: „სრულიად არ ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“.

ნაშრომში მოტანილი მონაცემების ანალიზი ემყარება ამ სამ კატეგორიად დაჯგუფებულ შედეგებს. რაც შეეხება 7 კატეგორიაზე დამყარებულ საწყის შედეგებს, ისინი მოცემულია დანართებში 2 და 3.

როგორც შედეგის ძირითადი საზომი, ჩვენ გამოვთვალეთ პროცენტები პასუხებისთვის თითოეულ კატეგორიაში. იმისათვის, რომ შეგვეფასებინა ასოციაციები შესყიდვის პრაქტიკის ამსახველ ცვლადებსა და დამოუკიდებელ ცვლადებს (ასაკი, სქესი, სტუდენტის და დასაქმების სტატუსი და კვლევაში ჩართვის დრო) შორის ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ბივარიანტული ანალიზი (ხი-კვადრატის ტესტი) და მრავალვარიანტული ლოგისტიკური რეგრესია. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩაითვალა 0.05-ზე ნაკლები p-მნიშვნელობები. მრავალვარიანტული ლოგისტიკური

რეგრესიის შემთხვევაში ასოციაციის სიძლიერის ამსახველად გამოთვლილი იქნა შანსების კოეფიციენტები (odds ratio, OR) და მათი 95% სარწმუნოების ინტერვალები (Confidence intervals, CI).

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით დროთა განმავლობაში განვითარებული ცვლილებების შესაფასებლად ჩვენ შევადარეთ თითოეულ შეკითხვაზე გაცემული პასუხების განაწილება კვლევაში ჩართვის ეტაპების მიხედვით. სტატისტიკური განსხვავებები კვლევაში ჩართვის ეტაპებს შორის შეფასდა ხი-კვადრატის ტესტის გამოყენებით.

შანსების კოეფიციენტების გამოთვლისას დამოუკიდებელი ცვლადებისთვის საცნობარო ჯგუფებად განიხილებოდა შემდეგი კატეგორიები: სქესისთვის - მამაკაცი, ასაკობრივი ჯგუფებისთვის - 18-29 წელი, დასაქმების სტატუსისთვის - ამჟამად დასაქმებული და სტუდენტის სტატუსისთვის - ამჟამად სტუდენტი. საცხოვრებელი ქვეყნისთვის საცნობარო ჯგუფად ჩაითვალა საქართველოში ცხოვრება.

ვინაიდან საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების გამოკითხვა მოხდა სამ ეტაპად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები რესპონდენტების კვლევაში ჩართვა კი მოხდა მხოლოდ პირველი ორი ეტაპის დროს, საცხოვრებელი ქვეყნის გავლენის ანალიზის დროს, იმისათვის რომ ჯგუფები შედარებადი ყოფილიყო, გამოვრიცხეთ საქართველოში კვლევის მესამე ეტაპზე ჩართული რესპონდენტები და ანალიზი მოხდა მხოლოდ პირველ ორ ეტაპზე ჩართული რესპონდენტების გათვალისწინებით. ანალიზის ამ კომპონენტში დროთა განმავლობაში მომხმარებელთა ქცევაში ცვლილებების შესაფასებლად შევადარეთ პასუხების განაწილება გამოკითხვაში ჩართვის ორ ზემოხსენებულ პერიოდს შორის.

კვლევის მონაცემების კომპიუტერში შესაყვანად და მონაცემთა გაწმენდის და ანალიზისთვის გამოყენებული იქნა საჯარო დომენში ხელმისაწვდომი პროგრამული პაკეტი Epi Info ვერსია 7.2.4 (Centers for Disease Control and Prevention, 2022).

შედარებების დიდი რაოდენობის გამო, OR და p მნიშვნელობები ქვემოთ წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციების მქონე ცვლადებისთვის.

თავი 2. მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში

2.1. მომხმარებლის ქცევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები

ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში გაძლიერდა ინტერესი „ქცევითი ეკონომიკის“ მიმართ, რაც გულისხმობს მყიდველის ქცევის შესწავლას. მომხმარებლის ქცევას პირდაპირი კავშირი აქვს ბიზნესის წარმატებულ ოპერირებასთან. ამდენად, მასზე დაკვირვება დიდ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით კი დღევანდელი მწვავე კონკურენციის პირობებში (Kotler & Keller, 2012).

იმისათვის, რომ დადგინდეს, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას სხვადასხვა ქვეყნების მომხმარებლები, ქცევითი ეკონომიკა შეისწავლის მომხმარებელზე ზემოქმედ ისეთ ფაქტორებს, როგორცაა სოციალური, კულტურული, რელიგიური, კოგნიტური, ემოციური და ეკონომიკური ფაქტორები. აგრეთვე, კვლევის ამ დარგის ინტერესის საგანია, თუ როგორ ხდება საბაზრო გადაწყვეტილებების მიღება და საზოგადოების აზრის ჩამოყალიბება ამა თუ იმ საბაზრო შეთავაზების მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია საბაზრო ფასების შესწავლა და მათი გავლენა მოთხოვნა-მიწოდების მრუდზე. გარდა ამისა, იკვეთება, რომ განსხვავებულ გარემოში მომხმარებლები განსხვავებულ ქცევებს ავლენენ.


მომხმარებლის ქცევის კლასიკური თეორია და მისი მოდელირება კარგად არის ასახული ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიცაა ბლეკუელი, ჰოუარდი, შეტი, კოტლერი, კატონიდა მეფერტი, სადაც აღწერილია შემოსავლის განაწილების თანამედროვე თეორიები, მომხმარებლის ქცევის საფუძვლები და ა. შ. (Blackwell და სხვ. 2018; Howard, 1977; Howard & Sheth, 1970; Katona, 1953; Kotler & Armstrong, 2012; Meffert, 1991).

მომხმარებლების ქცევის, მისი მოდელების, ტენდენციების და მათი ფაქტორების გავლენა ასევე შესწავლილია ბრუნსოს, გრუნერტის, მერფის და შოლდერერის ნაშრომებში (Brunso, და სხვ, 2009; Grunert, 2011; Murphy & Dweck, 2016; Scholderer &

Trondsen, 2009). მომხმარებლის ფასეულობების მართვის საკითხები, მოტივაციები, კომუნიკაციები მარკეტინგის სისტემაში, ცალკეული ბაზრების საქონლის და მომხმარებლის საკითხები, მომხმარებლების პრეფერენციების ჩათვლით, წარმოდგენილია ვერბეკეს, ვან ლოოს, ვერმეერისა და სხვათა ნაშრომებში (Verbeke და სხვ. 2007; Van Loo, Minnens & Verbeke, 2021; Vermeer & Zhao, 2006).

საფეხურები, რომელსაც მომხმარებლები სტანდარტულად გაივლიან შესყიდვების განხორციელებამდე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოტანილია სურათში 6, კერძოდ:

- საჭიროების შეცნობა;
- ინფორმაციის მოძიება;
- ალტერნატივების შეფასება;
- ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ყიდვის შემდგომი ქცევა.



სურათი 6. მყიდველის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი (Kotler, P. Armstrong, G. 2005). *Principles of Marketing*, გვ. 160).

ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ძირითად შემთხვევებში მომხმარებელი ცდილობს მოიპოვოს პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც მას გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება (Schiffman და სხვ., 2007). ამ ინფორმაციას

მყიდველი იღებს შიდა ან გარე წყაროების მეშვეობით. შიდა წყაროებში მოიაზრება სოციალური ჯგუფები: ოჯახი, მეგობრები, აზრის გამავრცელებლები, ხოლო გარე წყაროებს მიეკუთვნება კომპანიის კომუნიკაციის კამპანიის შედეგად გავრცელებული ინფორმაცია.

მომხმარებლები ყოველდღიურად იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული პროდუქტის შეძენის შესახებ. მყიდველი ახდენს არსებული საბაზრო შეთავაზებებიდან ალტერნატივების შეფასებას და ირჩევს მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელ შეთავაზებას. (Kotler & Armstrong, 2007) განიხილავს ყიდვის პროცესის ამ საფეხურის დიდ მნიშვნელობას ვინაიდან შედეგად მომხმარებელი აკეთებს არჩევანს და რეალურად ყიდულობს ან არ ყიდულობს ამა თუ იმ საქონელს თუ მომსახურებას. თანამედროვე პირობებში მომხმარებელს საშუალება ეძლევა მინიმალურ დროში შეადაროს შეთავაზებები ერთმანეთს და დაასკვნას თუ რომელი ვარიანტია მისთვის ყველაზე უფრო მისაღები. მომხმარებლის მიერ გაკეთებული პროდუქტის შეფასება ეფუძნება მომხმარებლის მიერ პროდუქტის აღქმას და მოლოდინს, რაც ასტიმულირებს შენაძენს. (Belz, 1994; Kotler და სხვ., 2014).

ყიდვის შემდგომი ქცევის დროს მომხმარებელი ახდენს საკუთარ გამოცდილებაზე დაკვირვებას. ფიქრობს იმაზე, თუ რამდენად კმაყოფილი დარჩა შენაძენით და რამდენად გამართლდა მოლოდინი. (Neal და სხვ., 2006) მიხედვით ეს საფეხური არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, ვინაიდან ის წარმართავს მომხმარებლის ქცევას მომავალში და გავლენას იქონიებს იმაზე, შეიძენს თუ არა მომხმარებელი ხელახლა იმავე საქონელს თუ მომსახურებას იგივე არხის მეშვეობით.

კონკრეტული შესყიდვის პროცესში საფეხურების რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც დამოკიდებულია შესასყიდი პროდუქტის მნიშვნელობაზე. ეს პროცესი შეიძლება დროში საკმაოდ გაიწელოს ან, პირიქით, ძალიან სწრაფად დასრულდეს. მაგალითად, თუკი მომხმარებელმა ავტომობილის შეძენა გადაწყვიტა, ეს პროცესი გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ყოველდღიური მოხმარების

პროდუქტის შექმნა. მასზე გავლენას ახდენს მომხმარებლის პირადი და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. საერთაშორისო ბაზრები განსხვავდება ეკონომიკური მაჩვენებლებით, მომხმარებელთა არჩევანით, გემოვნებით და მოთხოვნით. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მომხმარებლის ქცევაზე არის კულტურული, სოციალური, პიროვნული და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები.

სამომხმარებლო ქცევის სფერო ძალიან ფართოა და მისი საფუძვლიანად შესწავლა საკმაოდ რთულია. იგი მოიცავს სამომხმარებლო საქონლის, მომსახურებისა და იდეების ძიებისა და მოხმარების პროცესს. არანაკლებ მნიშვნელოვანია გაყიდვების შემდგომ მიმდინარე პროცესები, რომლებიც მოიცავს შენაძენის შეფასებას და შემდგომ ქცევას. სირთულეს სწორედ მომხმარებლების დამოკიდებულება წარმოადგენს, რომელიც ყოველდღიურად იცვლება და ვითარდება. ამ ცვლილებების კვალდაკვალ, მომხმარებელი აყალიბებს ახალ დამოკიდებულებებს და შეხედულებებს კონკრეტული პროდუქტების მიმართ. მომხმარებელთა გაგება გულისხმობს ადამიანის, როგორც პიროვნების და საზოგადოების ქცევასთან დაკავშირებული თეორიული ცნებების ცოდნას. მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად, პასუხი უნდა გაეცეს მრავალ შეკითხვას. კომპანიის წარმატებისათვის აუცილებელია მომხმარებელთა ქცევის მუდმივი კონტროლი და მასზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირება.

მომხმარებლები განსხვავდებიან, მაგალითად, ასაკის, შემოსავლის, განათლების ან გემოვნების მიხედვით, რაც მათ გადაწყვეტილებებზე ახდენს გავლენას. მომხმარებლის ქცევა დინამიურია და ხშირად იცვლება. საზოგადოება მუდმივად ვითარდება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შესყიდვებზე. შესაბამისად, მომხმარებელთა ქცევის შესწავლა და მარკეტინგული სტრატეგიის მორგება დიდ მნიშვნელობას იძენს. მომხმარებელთა ქცევა აგრეთვე გულისხმობს ადამიანებს შორის ინფორმაციის გაზიარებას. ამ შემთხვევაში მომხმარებლები ახდენენ გავლენას ერთმანეთის ქცევაზე. კომპანიებს უწყვეტ მოერგონ მომხმარებელთა გემოვნებას და შესთავაზონ მოთხოვნილი საქონელითუ მომსახურება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ამჟამად, მომხმარებლები სულ უფრო მეტად იცნობენ პროდუქციის მახასიათებლებს, ამიტომ მათი დარწმუნება უფრო და უფრო რთულდება. კომპანიები, რომლებიც ახერხებენ ბაზრის კვლევის ეფექტიანად ჩატარებას და მომხმარებლების შესწავლას, აღწევენ მაღალ ფინანსურ მოგებას, უკეთეს პირობებში აღმოჩნდებიან. ამ მიზნის მიღწევაში კომპანიებს ეხმარება მარკეტინგი, რომლის ერთ–ერთი მთავარი ფუნქციაა მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების მუდმივი მონიტორინგი და კვლევა.

ბიზნესები იბრძვიან მომხმარებლების მოსაზიდად და ეძებენ ისეთ მწარმოებლებს, რომლებსაც კარგად ესმით თუ რა სურთ მომხმარებლებს და ისეთ იდეებს ახორციელებენ, რომლებიც მომხმარებელთა ყურადღებას იპყრობს. მომხმარებლების უკეთ გაცნობის მიზნით, პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნას მათი ცხოვრების სტილი, მათი შეძენის მახასიათებლები, და დამოკიდებულება კონკრეტული კატეგორიის პროდუქტების და ბრენდების მიმართ. მაგრამ ხშირად მენეჯერების ცოდნა მომხმარებლების სურვილების შესახებ არასაკმარისია. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადი ცოდნა მომხმარებლის ქცევისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, ყოველთვის არ ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ იქცევიან ისინი ყიდვის დროს კონკრეტულ შემთხვევაში. კონკრეტულ სიტუაციებში მომხმარებლის ქცევაზე გავლენას ახდენს ისეთი გარემოებები, როგორცაა, მაგალითად, დროის სიმცირე, საყიდლებზე ყოფნის მიზეზი, თუ ვინ ახლავს თან მომხმარებელს, სტიმულირების რა საშუალებებს იყენებენ კომპანიები, საჩუქრის შექმნა სურთ თუ საკუთარი თავისთვის ყიდულობენ და. ა. შ.

მომხმარებლის ქცევაზე მოქმედი ფაქტორები. შეძენის პროცესში მომხმარებელთა ქცევაზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს ისეთმა მახასიათებლებმა, როგორებიცაა: დემოგრაფიული ფაქტორები, სქესი, განათლების დონე, შემოსავალი და ოჯახური მდგომარეობა (Kacen and Lee, 2002), ასევე კულტურულმა, სოციალურმა, პიროვნულმა და ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა. კულტურულ ფაქტორებს მიეკუთვნება კულტურა, სუბკულტურა და სოციალური ფენა. სოციალური ფაქტორები მოიცავს სარეკომენდაციო ჯგუფებს, ოჯახს, მომხმარებლის

სოციალურ როლებს და სტატუსს. პიროვნულ ფაქტორებს მიეკუთვნება ასაკი და ცხოვრების ციკლის ეტაპი, პროფესია, ეკონომიკური გარემოებები, ცხოვრების წესი. ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება მოტივაცია, აღქმა, სწავლა, რწმენა და დამოკიდებულება.

კრიტიკული მნიშვნელობისაა შესაძენი პროდუქციის ფასი, ვინაიდან ის მნიშვნელოვნად მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებაზე. თუკი მომხმარებელს არ აქვს სათანადო ეკონომიკური მდგომარეობა ვერ მოახდენს შეძენას. (East და სხვ., 2013).

სოციალური ფაქტორები ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს მომხმარებლის ქცევაზე. (Hoyer და სხვ., 2012) მიიჩნევა, რომ სოციალური ურთიერთობების და მომხმარებლების ურთიერთკომუნიკაციის შედეგად ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ყიდვის პროცესში მომხმარებლები ითვალისწინებენ აზრის გამავრცელებლის შეხედულებას.

მომხმარებელთა ყიდვით ქცევაზე გავლენის მოხდენა შეუძლია პროდუქტის წარმომავლობასაც, კერძოდ, მათი მხრიდან უცხოური საქონლის ან ცხოვრების წესისადმი არსებულ განწყობასაც. მომხმარებლებს უყალიბდებათ პოზიტიური, ნეგატიური ან ნეიტრალური დამოკიდებულება კონკრეტულ ქვეყანაში ნაწარმოები პროდუქტის მიმართ, რომლის მიხედვითაც ისინი ხელმძღვანელობენ შეძენის დროს.


მომხმარებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს. ამჟამად, მომხმარებლებისათვის ყველაფრისათვის დროის გამონახვა სულ უფრო რთულდება. შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს შენაძენის ხელსაყრელობა და შეძენის მოსახერხებლობა. აგრეთვე გასათვალისწინებელია მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობაც, ვინაიდან ცხადია, რომ ყველა მომხმარებელს არ აქვს საშუალება ნებისმიერ ფასად შეიძინოს ხელსაყრელი პროდუქტი.

COVID-19 პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა ცვლილებებმა მთელი მსოფლიო მოულოდნელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეიქმნა ტურბულენტური ბიზნეს გარემო, რომელშიც გარემო ფაქტორების გამო, ცვლილებები იმდენად მოულოდნელი და

არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა, რომ კომპანიების ფუნქციონირებისათვის ახალი გზების მოძიება გახდა საჭირო. ქცევის თვალსაზრისით, მოსახლეობის რეაგირება იყო დიდი გამოწვევა მთელ მსოფლიოში, პირდაპირპროპორციული COVID-19 პანდემიის ზემოქმედებით ეფექტების გამოვლინებაზე. ჩვენი პლანეტის მოსახლეობას ინფექციური დაავადებების მთელ რიგ ეპიდემიასა თუ პანდემიასთან მოუწია გამკლავება. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს პანდემიად 1918 წ. ესპანური გრიპი ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ 100 წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, თანამედროვე ეპოქაში ტექნოლოგიური განვითარების სხვა დონესთან გვაქვს საქმე, როდესაც საქმე ეხება ადამიანების ქცევას, მოსახლეობის რეაქციებს დაწყებული შიშიდან პანიკამდე იკვეთება, რომ დროის განმავლობაში ადამიანთა რეაქციები რადიკალურად არ შეცვლილა. ესპანური გრიპის მსგავსად, COVID-19 პანდემიამაც კაცობრიობა მიიყვანა უმთავრესი გამოწვევის ზღვარზე, რაც ადამიანთა რეაქციებთან გამკლავებას გულისხმობს.

ამ ფონზე და პანდემიაში ინდივიდის ქცევის შესახებ ძალიან მცირე მონაცემების ქონა და ეფექტიანი კომუნიკაციის სტრატეგიების პოვნა კომპანიებისათვის გამოწვევას წარმოადგენს. მოსახლეობის შესაძლო რეაქციები და ქცევა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. COVID-19-ის პირობებში შეიცვალა ინდივიდების ქცევა განურჩევლად სოციალური კლასისა, სტატუსისა თუ ცხოვრების დონისა.

არსებულ პირობებში მნიშვნელოვანია მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარება. AIDA (Attention, Interest, Desire, Action) მოდელის თანახმად (სურათი 7) იმისათვის, რომ მოხდეს კომპანიის მხრიდან გაგზავნილი კომუნიკაციის აღქმა, მნიშვნელოვანია მომხმარებელმა შეტყობინებას მიაქციოს ყურადღება, გაუჩნდეს ინტერესი და შეძენის სურვილი ხოლო, მოქმედება კი ყიდვითი ქცევით გამოიხატოს (Bovee & Thill, 2016).



სურათი 7. მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარების AIDA (Attention, Interest, Desire, Action) მოდელი. Bovee C.L.& Thill J.V. (2016). *Business in Action* (8th ed.). Pearson.

აღნიშნული მოდელის გამოყენება აქტუალობას ინარჩუნებს COVID-19 პანდემიის პირობებშიც და მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში კომუნიკაციის გამგზავნი მოახერხებს შეტყობინების მიმღებამდე სასურველი ინფორმაციის მიწოდებას იმ ფორმით, რომ მოხდება მომხმარებლის ყოყმანთან გამკლავება.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მომხმარებელთა ქცევა ფუნდამენტურად იცვლება ეკონომიკური კრიზისის დაწყებისთანავე და ხდება ბევრად რაციონალური, უფრო ეკონომიური, მაგრამ აგრეთვე უფრო მოთხოვნადი მომხმარებელთა მოლოდინების თვალსაზრისით. მომხმარებლები ადვილად ვერ ხარჯავენ თავიანთ შემოსავლებს თუ დარწმუნებულები არ არიან, რომ მათი მოლოდინები გამართლდება. მომხმარებლები ახდენენ ყველა შესაძენი საქონლის თუ მომსახურების გაანალიზებას სარგებლობის მიხედვით, რათა თავიდან აიცილონ შესყიდვები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ რეალურ საჭიროებას. COVID-19 პანდემიის დროს ყიდვასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად შეიძლება ასევე „რაციონალური მოლოდინის“ დოქტრინის პრინციპების გათვალისწინება (სილაგამე, 2010).

სამომხმარებლო ქცევის შესწავლა ყოველთვის იყო მრავალი მკვლევარის ინტერესის სფერო, რადგან იმის გაგება და მოლოდინი, თუ როგორ შეიძლება კრიზისის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების ცოდნა გამოყენებული იქნას სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დროს პროფესიონალებისთვის წარმოადგენს საჭიროებას, ვინაიდან მოხერხდეს მომხმარებლების მოლოდინების შეცნობა და დაკმაყოფილება (Nistorescu & Puiu, 2009).

მრავალი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და კულტურული ფაქტორების მოქმედების შედეგად (Drakopoulos, 2008), სამომხმარებლო ქცევის ანალიზი სცილდება ერთიანი მიდგომის საზღვრებს, იმის გათვალისწინებით, რომ გარე გავლენები იწვევს ქცევის ცვლილებებს საზოგადოების ფარგლებში, რაც ამ საკითხისადმი გლობალურ მიდგომას გულისხმობს. (Chaudhuri, 2006).

მომხმარებელთა ქცევა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც უწყვეტი გადაწყვეტილების მიღების პროცესი საქონლისა და მომსახურების ძიებასთან, შეფასებასთან, შეძენასთან, გამოყენებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით.

მომხმარებლები, როგორც წესი, ცდილობენ შეიძინონ პროდუქტი, რომელიც მათ მაქსიმალურ სარგებელს სთავაზობს, რითაც ცდილობენ განიცადონ მეტი სიხარული და კმაყოფილება პროდუქციისა თუ მომსახურების გამოყენებისას (Samuleson & Nordhaus, 2000).

შესყიდვის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკი იზრდება მყიდველის გამოცდილების დეფიციტთან ერთად, შეძენის მნიშვნელობა, შესაბამისად პროდუქტის შესაძენად გაღებული თანხის ოდენობა, პირდაპირ კავშირშია მომხმარებლის გადაწყვეტილებასთან. მნიშვნელოვანია მომხმარებელს ქონდეს წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე. (Catoiu & Teodorescu, 2004).

ჩვეულებრივ, რაც უფრო ძვირია პროდუქტი, მით უფრო მაღალია მომხმარებლის მიერ აღქმული რისკის ხარისხი. გარკვეული ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, არსებობს რისკების ხუთი კატეგორია (Solomon, 2004):

- 1) *ფულადი რისკი* ეხება შემოსავალს და კეთილდღეობას. ამ ტიპის რისკს უფრო მაღალი ღირებულების პროდუქტი შეიცავს და შედარებით დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები არიან ყველაზე მეტად მოწყვლადი;
- 2) *ფუნქციური რისკი* ეხება იმას თუ რამდენად შეესაბამება პროდუქტის ფუნქციური შესრულება მომხმარებლის საჭიროებებს;
- 3) *ფიზიკური რისკი* ეხება ჯანმრთელობას, ფიზიკურ ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას. ელექტრო პროდუქტები, მანქანები, მედიკამენტები, სამედიცინო მკურნალობა, საკვები და სხვ. შეიცავს ამ სახის რისკს;
- 4) *სოციალური რისკი* გულისხმობს თავდაჯერებულობას და თვითშეფასებას. მომხმარებლები, რომლებიც თავს დაუცველად გრძნობენ, ექვემდებარებიან ამ ტიპის რისკს ისეთი პროდუქტის შეძენისას, როგორცაა ტანსაცმელი, სამკაულები, სახლები, მანქანები;
- 5) *ფსიქოლოგიური რისკი* მოიცავს კონკრეტულ ჯგუფში გაწევრიანების და გარკვეული სტატუსის მიღების სურვილს. მომხმარებლები, რომლებიც არ არიან აფილირებულნი რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან, ექვემდებარებიან ამ რისკს ძვირადღირებული საქონლის ან მომსახურების შეძენისას.

კრიზისის დროს კომპანიები ამცირებენ კომუნიკაციასთან და რეკლამირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (Deleersnyder და სხვ., 2009). შესაბამისად, კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების დროს მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო, რათა მოხდეს მომხმარებლების მხრიდან პოზიტიური უკუკავშირის მიღება და მომხმარებლების აღქმაში არსებულ პოტენციურ რისკებთან გამკლავება.

ამრიგად, მომხმარებლის მიერ დროთა განმავლობაში გამოვლენილი ნებისმიერი ტიპის კრიზისის შედეგად აღქმულმა რისკებმა და COVID-19 პანდემიის მიერ წარმოქმნილმა რისკებმა უკიდურესად მოკლე პერიოდში გამოიწვია მომხმარებლების დამოკიდებულების და ქცევის ცვლილებები. ცვლილებები აგრეთვე ეხება საქონლისა თუ

მომსახურების შეძენას. ყველა სექტორი, მეტ-ნაკლებად, დაზარალდა მიმდინარე მსოფლიო ჯანდაცვის კრიზისით.

მომხმარებელთა ყიდვითუნარიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ცვლილებები თვალსაჩინო იყო საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებული შეზღუდვების ფონზეც, როდესაც მომხმარებლებს დაბრკოლებები ხვდებოდათ პროდუქციის შეძენისას. აგრეთვე მერყეობდა მომხმარებელთა ლოიალობა კონკრეტული ბრენდის მიმართ, რიგ პროდუქტებთან დაკავშირებით როგორც ონლაინ, ასევე პირადად შეძენის დროს გარკვეული ბრენდის პროდუქციის არახელსაყრელობიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 პანდემიის შედეგად მომხმარებლის ქცევაში გამოწვეული ცვლილებები უკვე სახეზეა, ცხადია, რომ მომავალშიც საქმე გვექნება მომხმარებელთა ქცევის რადიკალურ ცვლილებებთან და გასათვალისწინებელია, რომ ეს ცვლილებები ხანგრძლივი იქნება. ამრიგად, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის სტრატეგიის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნას ცვლილებების არსებობა და მოხდეს მომხმარებლების ინტერესებზე მორგება.

ვიზუალური ფაქტორების გავლენა მომხმარებლის ქცევაზე. ვიზუალური კომუნიკაციის საშუალებით კომპანიებს საშუალება ეძლევათ მოიზიდონ მომხმარებლები და მიიპყრონ მათი ყურადღება. ვიზუალური კომუნიკაცია არის იდეებისა და კრეატიულობის კომუნიკაცია ინფორმაციის ვიზუალური ჩვენების გზით.

სწორად შერჩეული ვიზუალური კომუნიკაციის ფორმა იწვევს ემოციური კავშირების გაძლიერებას მომხმარებლებთან. ვიზუალური კომუნიკაციის გავლენის შესწავლისას მომხმარებელთა ქცევის შედეგებზე იკვეთება, რომ კომუნიკაციის დიზაინი გავლენას ახდენს პიროვნებების არჩევანზე - იმაზე, თუ რას ფიქრობენ, რა სჭირდებათ ან სურთ მათ.

ვიზუალური კომუნიკაციის დიზაინი ეყრდნობა ნახატს, როგორც ვიზუალური ენის ძირითად კომპონენტს იდეების კონცეფციისა და ვიზუალიზაციის მხარდასაჭერად.

წარმატებით დაპროექტებული ვიზუალური კომუნიკაცია იზიდავს აუდიტორიას და არწმუნებს მათ მოქმედებაში, უბიძგებს მათ პოზიტიური ყიდვითი ქცევისკენ.

კრეატიულობას შეუძლია რთული მესიჯების გაგება მარტივი გახადოს. კომპანიის წარმატებული ვიზუალური კომუნიკაცია ქმნის და ინარჩუნებს მომხმარებელთა ლოიალობას და აყალიბებს ძლიერ ემოციურ კავშირებს მომხმარებლებსა და ბრენდებს შორის.

Bonwit Teller & Co იყო ძვირადღირებული უნივერსალი ნიუ-იორკში, რომელიც დააარსა პოლ ბონვიტმა 1895 წელს. მომხმარებლები ნიუ-იორკის მეხუთე ავენიუზე შთამბეჭდავად მორთული უნივერსალის ვიტრინების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ. მექანიზებული დისპლეი აოცებდა მომხმარებლებს და მათ საყიდლებზე იზიდავდა.

1939 წელს ამ მაღაზიამ პირველად დაიქირავა სახელგანთქმული მხატვარი სალვადორ დალი, როგორც ვიტრინების დიზაინერი, სწორედ აქედან დაიბადა შემოქმედებითი თანამშრომლობის განსხვავებული ისტორია.

აღსანიშნავია, რომ სწორედ სალვადორ დალიმ შექმნა Chupa Chups-ის ლოგო 1969 წელს. Chupa Chups-ის კომპანიის იმჟამინდელმა დირექტორმა ენრიკ ბერნატმა, გადაწყვიტა ლოგოს დიზაინზე მუშაობა სალვადორ დალისთვის მიენდო. ლოგომ მოხმარებლებზე ვიზუალური ეფექტი მოახდინა და დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ტკბილეულის ბრენდის ლოგოა მსოფლიოში. (Dali Universe, 2022).

მომხმარებლის არასტანდარტული ქცევის შემთხვევები. საყურადღებოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქციის თუ მომხმარებლების გარკვეული თავისებურებები განაპირობებს მომხმარებლის განსაკუთრებულ, არასტანდარტულ ქცევას. მომხმარებლის ასეთი სპეციფიური ქცევის კარგი მაგალითია იმპულსური ყიდვის ქცევა.

იმპულსური ყიდვა გულისხმობს მომხმარებლის მხრიდან პროდუქტის შეძენას წინასწარი გაანალიზებისა და საჭიროების შეცნობის გარეშე. იმპულსური ყიდვის დროს მომხმარებელი უპირატესობას სასურველი პროდუქტის ფლობის სურვილის დაკმაყოფილებას ანიჭებს და არ აანალიზებს პირადი მოთხოვნილების საჭიროებებს.

ხშირად იმპულსური ყიდვა ნეგატიურ გავლენას ახდენს მომხმარებლის პირად ეკონომიკურ მდგომარეობაზე და გაუაზრებელი შესყიდვის შემდეგ ხშირია მომხმარებლის უკმაყოფილება ცოტა ხნის წინ მიღებული საკუთარი გადაწყვეტილების გამო.

იმპულსური ყიდვა თითქმის ყოველთვის დაუგეგმავია. მომხმარებელს ეუფლება პროდუქტის უმაღლესი შედეგის სურვილი და ყოველგვარი სერიოზული გაანალიზების გარეშე ავლენს შედეგის ქცევას. ბეტი და ფერელი (Beatty & Ferrell, 1998) იმპულსურ ყიდვას განმარტავენ, როგორც სპონტანურ, მოულოდნელ და მყისიერ შენაძენს, რომელსაც წინ არ უძღვის პროდუქტის შედეგის საჭიროება ან განზრახვა. ამავე დროს, კასენი და ლი (Kacen & Lee, 2002) აქცენტს აკეთებენ მომხმარებლის ფსიქოლოგიურ პორტრეტზე და იმპულსურ ყიდვას პროდუქტისადმი მომხმარებლის მყისიერი ძლიერი სურვილის გაჩენით ხსნიან.

იმპულსური შესყიდვის ქცევა მომხმარებლისათვის რთულად მართვადია. განსხვავებით დაგეგმილი შესყიდვის ქცევისგან, იმპულსური შედეგის პროცესში ვერ ხერხდება პროდუქტის საჭიროების რაციონალურად შეფასება (Kacen & Lee, 2002). იმპულსური შესყიდვის ნეგატიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად შეიძლება ასევე „რაციონალური მოლოდინის“ დოქტრინის პრინციპების გათვალისწინებაც (სილაგაძე, 2010), რაც გულისხმობს პირველ რიგში საჭიროების შეცნობას და გააზრებული შესყიდვის ქცევის განხორციელებას.

ჰანი (Han) და სხვ. (1991) გამოყოფს ოთხი ძირითადი ტიპის იმპულსურ ყიდვას:

- *დაგეგმილი იმპულსური ყიდვა*, როდესაც მომხმარებელმა იცის თუ რა ტიპის პროდუქტის შედეგა სურს, მაგრამ თავდაპირველად არ აქვს გადაწყვეტილი კონკრეტულად რომელს შეიძენს;
- *გახსენებული იმპულსური ყიდვა*, როდესაც მომხმარებელს უცბად ახსენდება, რომ კონკრეტული პროდუქტი ესაჭიროება;

- შემოთავაზებული იმპულსური ყიდვა, როდესაც მომხმარებელი ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ დაშესყიდვას სხვა პირის აზრის გათვალისწინებით ახორციელებს;
- წმინდა იმპულსური ყიდვა, როდესაც მომხმარებელი მყისიერად იღებს პროდუქტის შეძენის გადაწყვეტილებას.

ზოგადად, იმპულსური შესყიდვისკენ მომხმარებელს შესაძლოა უბიძგოს:

- პროდუქტის დეფიციტმა;
- სტიმულირების სტრატეგიამ;
- ეფექტიანმა/თვალსაჩინო განლაგებამ;
- დროის ფაქტორმა;
- ხელსაყრელმა ფასმა;
- მომხმარებლის პირადმა ფსიქოლოგიურმა მახასიათებლებმა და მისმა ემოციურმა ფონმა.

გაყიდვების სტიმულირების სტრატეგიების ზეგავლენით იმპულსური ყიდვის მართვა და მასზე უარის თქმა სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მომხმარებელს უჭირს იმპულსური შესყიდვისგან თავის შეკავება, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს მომხმარებლის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პირობებში მომხმარებლის ქცევას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დისტრიბუციის არატრადიციული არხები - ონლაინ მაღაზიები, კატალოგური თუ ტელე გაყიდვები და სხვ., რომლებიც წარმატებით ახდენს მყიდველის ცდუნებას და იმპულსური ყიდვის სტიმულირებას.

იმისათვის, რომ მოხერხდეს იმპულსური ყიდვისაგან თავის შეკავება, მომხმარებლებმა უნდა მიმართონ ყიდვის ქცევის რაციონალურ მოდელს, ვინაიდან იგი გულისხმობს გააზრებულ შეძენას და დაგეგმილი ყიდვითი ქცევის განხორციელებას.

მომხმარებლის არასტანდარტული ქცევის სხვა შემთხვევებია ფუფუნების საგნების შეძენასთან დაკავშირებული ქცევები, „სნობური ეფექტის“ და ვიზუალური „თვალშისაცემი მოხმარების“ ჩათვლით.

დიუბუამ და სხვებმა (Dubois, Laurent & Czellar, 2001) შეისწავლეს პრესტიჟსა და ფუფუნების ფაქტორები მომხმარებლის ქცევასთან მიმართებაში და შეიმუშავეს მიდგომა, რომლის მიხედვითაც ხდება მომხმარებლის დამოკიდებულების და შეხედულების შეფასება ფუფუნების საქონლის მიმართ და იმის განსაზღვრა, თუ რა გავლენას ახდენს ეს ფაქტორები პროდუქციის შეძენაზე. ამ მიდგომის მიხედვით იზომება თუ რა იგულისხმება „ფუფუნების ბრენდში“ და არის შემუშავებული სკალა ფუფუნების აღქმის გასაზომად. ეს კვლევა განსაზღვრავს თუ რა განასხვავებს ლუქს ბრენდებს და არალუქს ბრენდებს ერთმანეთისაგან მომხმარებლის თვალში ოთხი განზომილების მიხედვით, რომლებიც ასახავს ადამიანის აღქმას ფუფუნებაზე: აღქმულ თვალსაჩინობას, აღქმულ უნიკალურობას, აღქმულ ხარისხს და აღქმულ ჰედონიზმს.

ჰაინეს და ფანის მიხედვით (Heine & Phan, 2011), მომხმარებლები აღიქვამენ, რომ ფუფუნების და ძვირადღირებულ გარკვეულ პროდუქტებს გააჩნიათ ექვსი ძირითადი მახასიათებელი (მაგალითად ფუფუნების პროდუქტებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ მათ გააჩნიათ საჭიროზე მეტად გამოხატული მახასიათებლები რითიც ამართლებენ, სხვა პროდუქტებთან შედარებით გაცილებით მაღალ ფასს. მაღალი ფასის გარდა, ეს მახასიათებლებია: ხარისხი, პროდუქტის ესტეტიური მხარე, მისი უნიკალურობა, ექსტრაორდინალურობა და სიმბოლური მნიშვნელობა.

ამავე დროს, აღსანიშნავია ფუფუნების საგნების მომხმარებელთა აღქმის და განწყობის ამბივალენტურობა და კომპლექსურობა, რაც იმ პარადოქსითაა განპირობებული, რომ ისინი მაღალ ფასად იძენენ საქონელს, რომელსაც პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ღირებულება შეიძლება არც კი ჰქონდეს, რაც შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს საზოგადოებაში გავრცელებულ თუ მათ საკუთარ დეკლარირებულ ღირებულებებთან და პრინციპებთან (Dubois, Laurent & Czellar, 2001).

ტერმინი „სნობური“ ეფექტი შემოღებულია ლეიბენსტეინის მიერ და ასახავს მომხმარებელთა იმ კატეგორიას, რომლებსაც თავისი ინდივიდუალური განსხვავებულობის შენარჩუნება სურთ და უარს ამბობენ რომელიმე ჯგუფთან

ასოცირებაზე (Leibenstein, 1950). აღნიშნულ სეგმენტში შემავალი მომხმარებლები უარს ამბობენ იმ პროდუქციის შეძენაზე, რომლებზეც მოთხოვნა მაღალია და, რომლის შეძენის შესაძლებლობაც ბევრ სხვა მომხმარებელს აქვს. მომხმარებელთა ეს კატეგორია გარკვეულწილად იმ „კონფორმისტი“ მომხმარებლების საპირისპიროა, რომლებიც პროდუქტს იძენენ და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნილებას ზრდიან იმიტომ, რომ ამ პროდუქტს ბევრი სხვა ადამიანი ყიდულობს.

ამერიკელი ეკონომისტი ვებლენი თავის ნაშრომში „თავისუფალი კლასის თეორია“ (1899) აღწერს მომხმარებელთა კატეგორიას, რომლებიც შენადმენის განხორციელებისას ცდილობენ საკუთარ ეკონომიკურ კეთილდღეობას გაუსვან ხაზი და ძვირადღირებული საქონლის შეძენას ამის წარმოსაჩენად ახდენენ (ეგრეთ წოდებული „თვალშისაცემი მოხმარება“). ამასთან დაკავშირებით, გაჩნდა ტერმინი „ვებლენის საქონელი“, რომელიც თითქოს სრულიად ეწინააღმდეგება ეკონომიკაში არსებულ მოთხოვნის კანონს: აღნიშნული კატეგორიის პროდუქტზე ფასის მატება მოთხოვნის ზრდას იწვევს, ხოლო, ფასის ვარდნა კი - მოთხოვნის შემცირებას. „ვებლენის საქონელი“ მხოლოდ ექსკლუზიური ტიპის სავაჭრო ობიექტებში არის ხელმისაწვდომი და მომხმარებლის სტატუსის მანიშნებელია.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გარკვეულ სიტუაციებში მომხმარებლის ქცევა განსაკუთრებით კომპლექსური და მრავალგანზომილებიანია. საბოლოო შედეგი ამ სიტუაციებში განისაზღვრება როგორც მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით, ისე საზოგადოებაში არსებული განწყობებით და ამ ფაქტორების სიღრმისეული დახასიათება კონკრეტულ სიტუაციებში დამატებით კვლევას საჭიროებს.

ახალი ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებლების და კომპანიების ქცევაზე.
ინფორმაციული ტექნოლოგიები დღესდღეობით წარმოადგენს ძლიერ მამოძრავებელ და მამოდიფიცირებელ ძალას თანამედროვე საზოგადოებისთვის. როდესაც განვიხილავთ ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალურ გავლენას მაკროეკონომიკურ პროცესებზე,

ხშირად ყურადღების მიღმა გვრჩება მომხმარებლის პრობლემები მაშინ, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიები ახდენენ სერიოზულ გავლენას მისი ქცევის მოდელის ცვლილებებზე. მნიშვნელოვანია, გავამახვილოთ ყურადღება იმ პრინციპულ ცვლილებებზე რასაც იწვევს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებლების და კომპანიების ქცევაზე.

მომხმარებლის ქცევის ცვლილებებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენით შეიძლება გამოიკვეთოს რამოდენიმე გლობალური ტენდენცია. პირველ რიგში, მიმდინარეობს პროცესი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მომხმარებლის რაციონალური ქცევა. მომხმარებლის არჩევითი თეორია ითვალისწინებს, რომ მომხმარებელი არჩევანის გაკეთების პროცესს რაციონალურად მიუდგება და მიისწრაფის სარგებლის მაქსიმალიზებისაკენ, რითაც მიიღწევა ოპტიმალური ბალანსი წარმოებულ პროდუქტსა და მასზე დანახარჯს შორის.

ინფორმაციასთან ფართო წვდომა აადვილებს ამ პროცესს და იძლევა შესაძლებლობას სარგებლის მაქსიმალიზება დადგეს უფრო დამაკმაყოფილებელ, მაღალ დონეზე. შედეგად, ბაზარი ხდება უფრო ადაპტირებული მომხმარებლის ორიენტაციაზე, ვიდრე ეს იყო 20-30 წლის წინათ. ინფორმაციული ტექნოლოგიები მომხმარებლის და მწარმოებლის ურთიერთობას აძლევს იმის საშუალებას, რომ გრძელვადიანი პროცესი შეიცვალოს მოკლევადიანით. ინფორმირების მაღალი ხარისხის პირობებში მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს უფრო ადეკვატური გადაწყვეტილება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომხმარებლის პროგნოზირებადი ქცევის გამომუშავებაში. ამრიგად, მომხმარებლის ქცევა საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში ემსგავსება „Homo economicus“ მოდელს (Mele & Cantón, 2014), ვინაიდან ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენით მომხმარებლის პოტენციური რაციონალური შესაძლებლობები გარდაიქმნება რეალურ ქმედებაში.

არსებობს სხვა აზრიც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დღეს ადამიანური ქცევა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კლასიკური „Homo economicus“ ჩარჩოთი, ვინაიდან ადამიანს გარდა მატერიალური მოთხოვნილებისა, რომლის დაკმაყოფილებასაც

გულისხმობს ეს მოდელი, სულ უფრო უჩნდება არამატერიალური მოთხოვნილება და ეს განპირობებულია ტექნოლოგიური პროგრესით შექმნილი ახალი შესაძლებლობებით. ამას მივყავართ ადამიანის ახალი მოდელის ჩამოყალიბებამდე რაც დიდი ალბათობით უფრო ნათლად აღწერს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას. ასეთი წარმოდგენა დამახასიათებელია სოციო-ეკონომიკის (social-economics) წარმომადგენლებისათვის. ისინი პირდაპირ მიუთითებენ, რომ ადამიანები არ შეიძლება იქნან განხილული ცალმხრივად ეგოისტურ ან რაციონალური სუბიექტებად, ვინაიდან „ადამიანებს ახასიათებთ როგორც ეგოიზმი ასევე ალტრუიზმი, როგორც კონკურენციისადმი მისწრაფება ასევე თანამშრომლობა, როგორც სიზარმაცე ასევე ბეჯითობა“ (Etzioni & Lawrence, 1994; Robertson, 1999).

ამჟამად, ტექნოლოგიური რევოლუცია მწარმოებელს აძლევს იმის საშუალებას, რომ მოახდინოს პროდუქციის პერსონალიზება და დაამყაროს პირდაპირი კომუნიკაცია მომხმარებელთან და ეს ყველაფერი ხორციელდება უფრო ეფექტიანად, ვიდრე წინა პერიოდში. შედეგად, კომპანიას უადვილდება მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება. ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით კომპანიებს აგეთვე უმარტივდებათ მომხმარებლის შესახებ მონაცემების შეგროვება და გაანალიზება. მეორე მხრივ, მომხმარებლებსაც შეუძლიათ კომფორტულ პირობებში, სახლიდან გაუსვლელად და მოკლე დროში მოიძიონ ინფორმაცია კომპანიის თუ პროდუქტების შესახებ და მოახდინოს საბაზრო ფასების შედარებაც კი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტექნოლოგიურმა რევოლუციამ საერთაშორისო ეკონომიკაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, მომხმარებლებს გაუჩნდათ უფრო მეტი ძალაუფლება ვიდრე ოდემე ქონიათ. ტექნოლოგიური ხელსაწყოების გამოყენებით მათ შეუძლიათ ამოარჩიონ საერთაშორისო ბაზარზე, მსოფლიოს მასშტაბით არსებული საუკეთესო შეთავაზება და შეუძლიათ ეს ყველაფერი განახორციელონ დღის ნებისმიერ მონაკვეთში საკუთარი სახლიდან. ასევე, მომხმარებლებს გაეზარდათ ინფორმაციასთან წვდომა. ისინი მარტივად ეცნობიან ამა თუ

იმ პროდუქტის ე.წ. შეფასებებს, რომლებსაც ის მომხმარებლები აზიარებენ, ვისაც აღნიშნული პროდუქტი უკვე შეძენილი აქვთ.

თავის მხრივ, კომპანიებსაც გაეზარდათ შესაძლებლობა მომხმარებლებს შესთავაზონ კონკრეტულად მათი მოთხოვნილებიდან გამომდინარე პროდუქტები. კომპანიებს შეუძლიათ მომხმარებლებს შეთავაზებები გაუკეთონ მათ მიერ ადრე შეძენილი საქონლის მონაცემებზე დაყრდნობით ტექნოლოგიური საშუალებების ფუნქციების მიხედვით.

უფრო მარტივად შესაძლებელი გახდა კავშირი მომხმარებლებსა და კომპანიებს შორის. კომუნიკაციის პროცესი საგრძნობლად გამარტივდა და დაჩქარდა. სადღეისოდ, კომპანიების უმეტესობა მომხმარებელთან ურთიერთობისათვის იყენებს მთელ რიგ მეთოდებს, იქნება ეს ელექტრონული ფოსტა თუ პირდაპირ რეჟიმში ტექსტური შეტყობინებები.

ამრიგად, ტექნოლოგიურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა მომხმარებელთა ცხოვრება, მათი ქცევა და, ბუნებრივია, ბიზნესის წარმოების გზები. წარმატების მისაღწევად და შესანარჩუნებლად კომპანიებმა უნდა მოახერხონ მომხმარებლისთვის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება.

კიბერუსაფრთხოება. კიბერკრიმინალის ზრდის ფონზე სიტუაცია ამ თვალსაზრისით არც თუ ისე სახარბიელო ჩანს. კიბერდანაშაულის ხარჯები მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, გაიზრდება ყოველწლიურად 15%-ით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში და მიაღწევს 10.5 ტრილიონ დოლარს წელიწადში 2025 წლისთვის, Cybersecurity Ventures-ის პროგნოზის მიხედვით. ეს არის ბიზნესის კეთების ღირებულების ზრდა, რაც სამომხმარებლო ფასებზე აისახება. (Cybersecurity Ventures, 2016).

კიბერთავდასხმების ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, Sophos-ის კვლევის მიხედვით, ransomware შეტევის საშუალო ღირებულება 2020 წელს იყო 1.85

მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით, გაორმაგებული მაჩვენებელია (Sophos, 2021).

კიბერთავდასხმების ფაქტის დაფიქსირებისას შეშფოთების კიდევ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ მომხმარებლებმა შეიძლება უნდობლობა განუცხადონ კომპანიებს, რომლებმაც განიცადეს თავდასხმა. ეს უნდობლობა კი აშორებს მომხმარებლებს კომპანიებისაგან, რაც ბიზნესისათვის დამატებითი ზიანის მომტანია.

Arcserve-ის გამოკითხვის თანახმად, მომხმარებელთა უმრავლესობა (59%) აცხადებს, რომ ისინი თავს არიდებენ იმ კომპანიებთან საქმის დაჭერას, რომლებმაც განიცადეს კიბერშეტევა გასული წლის განმავლობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლები, სავარაუდოდ, თავდასხმის ქვეშ მყოფი კომპანიის ნაცვლად მისი საბაზრო კონკურენტების შეთავაზებებით ისარგებლებენ (Arcserve, 2022).

კიბერთავდასხმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა უკვე საკმაოდ მაღალია. KPMG-ის კვლევის თანახმად, მომხმარებელთა სამ მეოთხედზე მეტი შეშფოთებულია მათი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვით. შეშფოთებას იმის შესახებ, რომ კომპანიები აგროვებენ პირად მონაცემებს მომხმარებელთა შესახებ, თან ახლავს შეშფოთებას იმის შესახებ, რომ ეს მონაცემები შესაძლოა მოიპარონ კიბერთავდამსხმელებმა. (KPMG, 2016).

ბიზნესებზე კიბერშეტევების შემთხვევების მატებამ გაზარდა მომხმარებელთა შეშფოთება გასული წლის განმავლობაში. Norton-ის გამოკითხვის თანახმად, მომხმარებელთა 44% ეხლა უფრო მეტად გრძნობს კიბერდანაშაულისგან გამოწვეულ შესაძლო საფრთხეს, ვიდრე ეს იყო COVID-19 პანდემიის დაწყებამდე. ცხოვრების წესის ცვლილების ფონზე, რაც COVID-19 პანდემიითაა განპირობებული, ხუთიდან თითქმის ორმა ზრდასრული ასაკის ადამიანმა გადადგა ნაბიჯები ონლაინ-აქტივობებისა და პირადი ინფორმაციის დასაცავად. (Norton, 2021).

ამრიგად, პანდემიის მიერ შექმნილი გამოწვევების ფონზე, ამ ახალ ეპოქაში მომხმარებლები უკეთ გაერკვნენ კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

შესაბამისად ორგანიზაციებს სჭირდებათ უსაფრთხოების სწორი პოზიცია, რომელსაც მკაფიო გზავნილის მეშვეობით შეატყობინებენ მომხმარებლებს და მათ სანდოობაში დაარწმუნებენ.


ეთიკის და სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ბიზნესის წარმოების დროს. ამჟამად ეთიკური ნორმების დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობის შესრულება ნებისმიერი კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ასპექტია. მომხმარებლები დიდ ყურადღებას აქცევენ და უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ იმ კომპანიების მიმართ, რომლებსაც კარგად აქვთ გაცნობიერებული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.

ყველა კომპანიას აქვს პოტენციალი, რომ იქონიოს ზეგავლენა მსოფლიოზე ნეგატიური ან პოზიტიური კუთხით. კომპანიები ცდილობენ სულ უფრო და უფრო ნაკლებად დააზიანონ ბუნებრივი გარემო თავიანთი წარმოების შედეგად. მრავალი კომპანია ცდილობს ბაზარზე გამოირჩეოდეს, როგორც თანამშრომლებზე და მომხმარებლებზე მზრუნველი კომპანია, გამჭვირვალე და ეფექტიანი კომუნიკაცია ჰქონდეს ინვესტორებსა თუ მომწოდებლებთან.

დღეს ბიზნესისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მოახერხოს საზოგადოების, ბუნებრივი გარემოს, მომხმარებლების, ინვესტორების და თანამშრომლების ინტერესების დაცვა. თუკი ადრეულ პერიოდში შესაძლებელი იყო, რომ ბიზნესს მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ემოქმედა, დღეს ეს პრაქტიკულად გამორიცხულია, ვინაიდან მომხმარებლის ქცევაში მომხდარმა ცვლილებებმა, რაც გამოიხატება გარემოზე ზრუნვაში, საჭირო გახადა კომპანიების მხრიდან ეკოლოგიურ საკითხებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობა.

კომპანიები ცდილობენ კაცობრიობისათვის სასარგებლო ქმედებების განხორციელებას, რათა მომხმარებლებს სოციალური პასუხისმგებლობის არსებობა დაანახონ, რაც სოციალური მარკეტინგის ფორმაა და რასაც „სოციოეთიკურ-

მარკეტინგად“ მოიხსენიებენ (სურათი 8; Kotler & Zaltman, 1971). წარსულში დაფიქსირებული კორპორაციული სკანდალებისადმი მაღალი საზოგადოებრივი



სურათი 8. სოციო-ეთიკური მარკეტინგი (Kotler P, Armstrong G.(2013) Principles of Marketing, გვ.12).

ინტერესის და კრიტიკის გათვალისწინებით, დღესდღეობით კომპანიები ცდილობენ, მოგების მიღების გარდა, საზოგადოებაში პოზიტიური იმიჯიც დაიმკვიდრონ. ამ ფონზე კორპორატიული ეთიკის მნიშვნელობამ წინა პლანზე წამოიწია. ამის კარგი მაგალითია სპორტული საქონლის და ტანსაცმლის კომპანია Patagonia-ს სხვადასხვა ინიციატივა, რომლებიც გარემოს შენარჩუნებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისკენ არის მიმართული. მათ შორისაა კომპანია „1% პლანეტისათვის“, რომელსაც საფუძველი 1985

წელს ჩაეყარა. ამ კამპანიის ფარგლებში, კომპანიის მთელი შესყიდვების 1% ყოველწლიურად გადაეცემა ორგანიზაციებს, რომლებიც ბუნების დაცვასა და აღდგენაზე მუშაობენ. სადღეისოდ, ამ ორგანიზაციებისთვის Patagonia-ს მიერ გადაცემულმა თანხამ 140 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. (Patagonia, 2022).

1960-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა კონსუმერიზმს (consumerism), რაც ბიზნეს გარემოს მიმართ არსებული პასუხისმგებლობების გააზრებისკენ და მომხმარებლების უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს კომპანიებს. კონსუმერიზმმა უბიძგა მრავალ კომპანიას მომხმარებელთან ურთიერთობის დეპარტამენტის შექმნისკენ. კონსუმერიზმს მიეწერება აგრეთვე ადგილობრივი სააგენტოების დაარსება, სადაც მომხმარებლის უფლებების დაცვაზე და მათ დახმარებაზე ზრუნავდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონ ფ. კენედიმ ფედერალურ დონეზე გამოაცხადა „Consumer’s Bill of Rights“, ანუ ჩამოაყალიბა მომხმარებელთა ძირითადი უფლებები (Kennedy, J.F. 1962), რამაც შემდგომში მომხმარებელზე ორიენტირებული კანონების მიღება განაპირობა. ამ კანონებით მომხმარებლებისათვის მინიჭებული აღნიშნული უფლებები მოიცავს უსაფრთხო, არასაზიანო პროდუქტის შეძენის, ინფორმაციის ქონის და არჩევნის გაკეთების უფლებას, აგრეთვე იმის უფლებას და შესაძლებლობას, რომ კომპანიებმა მოისმინონ და გაითვალისწინონ მომხმარებლის ხმა. თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შემუშავებული აქვს გაიდლაინები მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ (United Nations, 1985), რაც ამ სფეროში ბაზისურ საერთაშორისო დოკუმენტს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარკვეულ შემთხვევებში და განსაზღვრული პირობების დაცვით, მომხმარებლებს აქვთ უფლება შეიძინონ ისეთი ლეგალური პროდუქტი, რომელიც ჯანმრთელობისათვის საფრთხის მომტანია, მაგრამ მომხმარებელი იჩენს მსგავსი ტიპის პროდუქტის შეძენის მიმართ ინტერესს. ასეთი პროდუქტის კარგი მაგალითია სიგარეტები. მეცნიერებმა მრავალი წლის წინ დაამტკიცეს, რომ ნიკოტინი და თამბაქო არის საზიანო და იწვევს დამოკიდებულებას, აგრეთვე ხელს უწყობს სიმსივნური დაავადების განვითარებას. ჯანმრთელობაზე თამბაქოს მავნე

გავლენის შესახებ ამერიკის მთავარი ქირურგის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე (Centers for Disease Control and Prevention, 2022), 1965 წელს ამერიკის ფედერალურმა სიგარეტის ეტიკეტირების სააგენტომ და სარეკლამო კანონმა, სავალდებულო გახადა ყველა სიგარეტის შეფუთვაზე გამაფრთხილებელი ინფორმაციის შემცველი წარწერის არსებობა. ამ გზით ხდება მომხმარებლების ცნობადობის გაზრდა და მათზე მზრუნველობა, და მომხმარებლის მიერ ინფორმირებული და პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა. თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული პროდუქტი მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობით იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. (US Federal Trade Commission, 2021).

ბიზნესებს, რომლებსაც ეთიკურად მართავენ მენეჯერები, რომელთა დაქვემდებარებაშიც პასუხისმგებლიანი თანამშრომლები არიან, თავისი წვლილი შეაქვთ გარემოს დაცვის საქმეში და, ამდენად, საზოგადოებრივად სასარგებლო კონტრიბუციას აკეთებენ. დღევანდელი ტექნოლოგიური საშუალებების განვითარების პირობებში ინფორმაცია საზოგადოებაში სწრაფად და მარტივად ვრცელდება. შესაბამისად, ნებისმიერი სახის ინფორმაცია ბიზნესების შესახებ, იქნება ეს პოზიტიური თუ ნეგატიური, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. მყიდველები გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პროდუქტის შეძენის შესახებ იღებენ კომპანიის შესახებ არსებული ინფორმაციის გათვალისწინების შედეგად.

კომპანიის წარმატებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მან შეძლოს მომხმარებლებისათვის მაღალი ხარისხის საკომუნიკაციო გზავნილების მიწოდება. დღესდღეობით ბიზნესებს უწევთ ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის დამყარება, ამ პროცესს კი თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები ამარტივებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა კომუნიკაციის არსებობა. კომანიებში, სადაც შიდა კომუნიკაციის პრობლემები შეინიშნება, ადგილი აქვს თანამშრომელთა დემოტივაციას და პროდუქტიულობის დაქვეითებას, რაც საბოლოოდ მყიდველების ქცევაზეც ნეგატიურად აისახება. კომუნიკაციაში აქტიურად არიან ჩართულები ბლოგერებიც, რომლებიც ინტერნეტ სივრცეში პროდუქტის განხილვას და შეფასებას ახდენენ.

ამრიგად, დღევანდელ დღეს კომპანიები კარგად აცნობიერებენ სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მისდევენ სოციო-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციას, ვინაიდან აღნიშნული მართვის სტილის მიხედვით, კომპანია იაზრებს და იღებს პასუხისმგებლობას გარემოს წინაშე. ცხადია, დღევანდელ კომპანიას სურს და მიმართავს საჭირო ქმედებებს მოგების მისაღებად, მაგრამ ის აგრეთვე ზრუნავს თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და ზოგადად, კაცობრიობის კეთილდღეობაზე.

მომხმარებლის ქცევა და ეკოლოგიისა და მდგრადი განვითარების საკითხები. მსოფლიოში მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის და რესურსების შეზღუდვის ფონზე სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება მდგრადი განვითარების საკითხები. არა მხოლოდ სახელმწიფოს მმართველები და მეთაურები, არამედ მსოფლიოს მოსახლეობა ფიქრობს იმ აუცილებლობაზე, რომ უზრუნველყოს პლანეტის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადი განვითარება თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის. გლობალური პრობლემების აღმოფხვრის, უსამართლობის, უთანასწორობის, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ამოცანებისა, რაც ამჟამად დგას კაცობრიობის წინაშე. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ სამყაროში შეუძლებელია ისაუბრო მდგრად განვითარებაზე ბიზნესის მონაწილეობის გარეშე.

„Euromonitor International“-ის მონაცემებით (OECD, 2020), მომხმარებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პროდუქტების ეკოლოგიურ მაჩვენებლებს და ამ სფეროში მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს. ამრიგად, მდგრადი განვითარების ფაქტორი, რომელიც აერთიანებს ეკოლოგიურ, ეკონომიურ და სოციალურ ასპექტებს წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს, რომელიც ახდენს გავლენას თანამედროვე მოქალაქის-მომხმარებლის ქცევაზე. შესაბამისად, ეს აგრეთვე გასათვალისწინებელია საერთაშორისო ეკონომიკური სტრატეგიების დაგეგმვის დროს და უნდა აისახებოდეს ბიზნესის მართვის სტრატეგიაში. ეს საკითხები აგრეთვე, შეიძლება გამოხატული იყოს მარკეტინგის კომპლექსში შემავალ ელემენტებშიც. მდგრადი განვითარების ფაქტორის გავლენის ზემოქმედების შესწავლა მიზნობრივ სეგმენტში არსებული მომხმარებლების ქცევაზე

წარმოადგენს აუცილებლობას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ფართომასშტაბიანი კვლევები საქართველოს ბაზარზე.

თანამედროვე მომხმარებელი დიდ ყურადღებას აქცევს პროდუქტის შემადგენლობას და უპირატესობას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შეძენას ანიჭებს. დღესდღეობით მომხმარებელი სულ უფრო მეტად მცოდნეა და მრავალ საკითხში გარკვეულია. თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით კი შესაძლებელია პროდუქტის შემადგენელი ნებისმიერი ნივთიერების შესახებ დეტალური ინფორმაციის პრაქტიკულად წამებში მოძიება. შესაბამისად, მყიდველი ცდილობს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქციის შეძენას.

მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ეგრეთ წოდებული „მწვანე პროდუქტები“, რომლებიც კონკურენტული შეთავაზებისგან ეკოლოგიური კომპონენტებით განსხვავდებიან, თუმცა ცხადია, რომ ყველა პროდუქტი სრულიად „მწვანე“ ვერ იქნება, მაგალითად, სამშენებლო მასალები.

მომხმარებელთა გემოვნება იცვლება და, შესაბამისად, კომპანიებს ესაჭიროებათ ცვალებად საერთაშორისო ბიზნეს გარემოსთან ადაპტირება. მაგალითად, საკვები კომპანია „Hellmann’s“ ამერიკის ბაზარზე რეალიზებად პროდუქციაში დღეს მხოლოდ 100%-ით ნატურალურ ინგრედიენტებს იყენებს. მაიონეზის დასამზადებლად იყენებს მხოლოდ კვერცხებს, რომლებიც ეგრეთ წოდებული “cage-free” ანუ გალის პირობების გამოყენების გარეშე გაზრდილი ქათმების მიერაა დადებული და არა იმ ქათმების მიერ, რომლებიც სტანდარტულად, იმდენად მცირე ზომის გალიებშია გაზრდილნი, რომ მოძრაობის საშუალებაც კი არა აქვთ (Uniliver, 2020). დანიური საბავშვო ტანისამოსის მწარმოებელი კომპანია „Name it“ კი ბამბის პროდუქციის საწარმოებლად მხოლოდ ნატურალურ, ორგანულ ბამბას იყენებს და ბრენდის კომუნიკაციის სტრატეგიაში ამ ფაქტს მუდმივად აღნიშნავს. კომპანიის მომხმარებელთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანლის Joan Sondergaard Nielsen-ის განცხადებით (NAME IT, 2020), თუკი 2016 წლის მონაცემებით ბამბის ტანისამოსი 36% ორგანული ბამბის

შემადგენლობის იყო, 2020 წელს კომპანიამ მოახერხა ამ მაჩვენებლის 50%-მდე გაზრდა, ვინაიდან მომხმარებლისთვის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია შეთავაზებინა.

რესპონდენტთა პასუხების ცვლილებები კვლევაში ჩართვის სხვადასხვა ეტაპზე იმ კითხვებისათვის, რომლებიც კონკრეტულად აფასებენ COVID-19 პანდემიის ზემოქმედებას მომხმარებელთა ქცევაზე, მოცემულია სურათში 15.

დროთა განმავლობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად შეიცვალა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პანდემიის დროს დაიწყეს უფრო მეტად პირველადი მოთხოვნის პროდუქტების შეძენა. ეს ქცევა 2020 წლის მარტ-აგვისტოში 87.9%-დან და 2020 წლის სექტემბერი - 2021 წლის იანვარში 90.3%-დან შემცირდა 66.7%-მდე 2021 წლის სექტემბერში. 2021 წლის სექტემბრისთვის 2020 წლის მარტი-აგვისტოსთან შედარებით OR იყო 0.18 (95% CI, 0.08-0.38; $p=0.0000$).

საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების კვლევაში ჩართვის დროსთან ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ასოცირდებოდა ონლაინ შესყიდვების გამოყენება. მთლიანობაში, რესპონდენტთა 38.9%-მა განაცხადა, რომ ისინი პანდემიის დროს პროდუქტებს ძირითადად ონლაინ რეჟიმში ყიდულობენ. მათი წილი, ვინც ძირითადად ონლაინ ყიდულობდა, 2020 წლის მარტ-აგვისტოში იყო 37.6%, 2020 წლის სექტემბერ-2021 იანვარში კი 35.5%, მაგრამ 2021 წლის სექტემბრისთვის 48.3%-მდე გაიზარდა; მულტივარიანტულ ანალიზში 2021 წლის სექტემბრის 2020 წლის მარტ-აგვისტოსთან შედარებისას ამ ქცევისთვის OR შეადგენდა 1.9 (95% CI, 1.03-3.52; $p=0$).

პანდემიის გავლენის ამსახველი სხვა ფაქტორების მხრივ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები კვლევაში ჩართვის დროსთან არ აღნიშნულა, მაგრამ გამოვლინდა მათი ასოციაციები დემოგრაფიულ თუ სოციალურ პარამეტრებთან.

მთლიანობაში, საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტთა ძალიან მაღალი წილი (95.4%) აღნიშნავდა, რომ კორონავირუსმა გავლენა მოახდინა მათ სოციალურ აქტივობაზე და ყიდვის ქცევაზე. ეს გავლენა დაფიქსირდა ყველა ქვეჯგუფში და უფრო მეტად გამოიხატა ასაკთან ერთად: 18-29 წლის ახალგაზრდებში ის აღინიშნა 90.0%-ში, 30-49 წლის ასაკში 97.8%-ში და ≥ 50 წლის ასაკში 100.0%-ში. მულტივარიანტულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება 30-49 წლის ასაკობრივი

ჯგუფისათვის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით (OR, 4.74; 95% CI, 1.30-17.36; $p=0.0187$).

კორონავირუსმა აიძულა რესპონდენტთა უმეტესობა (მთლიანობაში 81.2%) დაფიქრდეს, როგორ გაანაწილონ თავიანთი ბიუჯეტი უფრო ადეკვატურად. ეს ქცევა საერთო იყო ყველა ქვეჯგუფში და სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაკავშირებული იყო მხოლოდ დასაქმების სტატუსთან. ამჟამად, დასაქმებულთა შორის ის დაფიქსირდა 84.9%-ში, ხოლო დაუსაქმებელთა შორის 72.1%-ში (OR, 2.13; 95% CI, 1.15–4.00; $p=0.162$).

დასაქმებულობის სტატუსთან ასევე იყო ასოცირებული უფრო პირველადი მოთხოვნის პროდუქტების შეძენა კორონავირუსული პანდემიის დროს. ეს ქცევა, რომელიც მთლიანობაში საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 84.5%-ში აღინიშნა, უფრო ხშირი იყო დასაქმებულთა შორის, ვიდრე დაუსაქმებელთა შორის (შესაბამისად, 88.7% და 74.6%; OR, 2.70; 95% CI, 1.33–5.55; $p=0.0055$).

კორონავირუსის გავლენა მომხმარებლის მიერ საცალო ვაჭრობის ადგილის არჩევანზე, საიდანაც ისინი ყიდულობენ, მთლიანობაში გამოკითხულთა 79.2%-მა აღნიშნა. ეს ეფექტი უფრო ხშირად დაფიქსირდა ხანდაზმულთა ასაკობრივ ჯგუფებში- 69.3%-ში 18-29 წლის ახალგაზრდებში, 85.4%-ში 30-49 წლის ასაკის პირებში და 83.7%-ში ≥ 50 წლის ასაკობრივ ჯგუფში. მულტივარიანტულ ანალიზში, 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის შედარებისას 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან OR იყო 2.37 (95% CI, 1.17–4.81, $p=0.0164$). ეს ქცევა მულტივარიანტულ ანალიზში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული სქესთანაც და უფრო იშვიათად აღინიშნებოდა ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (შესაბამისად, 72.0% და 86.0%; OR, 0.30; 95% CI, 0.17–0.51; $p=0.0$).

რესპონდენტის ასაკთან ასევე დაკავშირებული იყო პანდემიის დროს პროდუქტების ძირითადად ონლაინ რეჟიმში შეძენაც. ეს ქცევა, რომელიც მთლიანობაში საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 38.9%-ში დაფიქსირდა, საგრძნობლად უფრო ხშირი იყო შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში და აღინიშნებოდა 18-29 წლის რესპონდენტთა 53.3%-ში და 30-49 წლის რესპონდენტთა 41.6%, ≥ 50 წლის ასაკში კი -

მხოლოდ 8.1%-ში (30–49 წლის 18–29 წელთან შედარებისას OR, 0.56; 95% CI, 0.31–0.98; $p=0.0432$; ≥ 50 წლის 18–29 წელთან შედარებისას OR, 0.07; 95% CI, 0.03–0.18; $p=0.0000$).

ამრიგად, წინამდებარე კვლევამ გამოავლინა COVID-19 პანდემიით გამოწვეული მომხმარებელთა ქცევის ცვლილებები საქართველოში მცხოვრები მომხმარებლების სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში. ამ, ჯერ კიდევ მიმდინარე პანდემიის საბოლოო გავლენა მომხმარებლებზე, სავარაუდოდ, კიდევ უფრო საგრძნობი იქნება, რადგან კვლევა მოიცავს პერიოდს 2021 წლის სექტემბრამდე, სანამ ადგილი ექნებოდა პანდემიის ძირითად ტალღებს, რომლებიც SARS-2-CoV-ის დელტა და ომიკრონ ვარიანტებთან იყო დაკავშირებული და, რომელთაც საქართველოში 2022 წლის ივნისის შუა რიცხვებისთვის დაახლოებით 1 მილიონი დამატებითი შემთხვევა და 8000 გარდაცვალება მოჰყვა. (Worldometers, 2022).

ამ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პანდემიის დაწყებიდან საქართველოში მომხმარებლის საქონლისა და მომსახურების არჩევანი შეიცვალა. 2021 წლის სექტემბრისთვის, გამოკითხულთა თითქმის 100%-მა აღნიშნა, რომ პანდემიამ გავლენა მოახდინა მათ სოციალურ აქტივობაზე და ყიდვის ქცევაზე და დაადასტურა მათი რეგულარული შესყიდვის ჩვევების ცვლილება. პანდემიის გავლენა იგრძნობოდა ყველა დემოგრაფიაზე, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპონდენტთა ასაკთან ერთად.

პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობისა და შიშის ფონზე, მომხმარებლები უფრო ფრთხილები გახდნენ. მათ დაიწყეს მეტი ყურადღების მიქცევა არსებული სახსრების ეფექტიანად განაწილებისა და საცალო მოვაჭრეების არჩევანისთვის და დაიწყეს უფრო პრაქტიკული პროდუქტების შეძენა. პანდემიის პროგრესირებასთან ერთად შემცირდა იმ ადამიანთა წილი, ვინც აგრძელებდა პროდუქტის ყიდვას ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად.

ძვირადღირებული პროდუქტების მიმართ ინტერესი პანდემიასთან ერთად ერთგვარად შემცირდა. ნაკლებმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ძვირადღირებული პროდუქტის შეძენა მათ გაბედნიერებდა, მიუხედავად იმისა, რომ დარჩა ზოგადი აღქმა,

რომ უფრო ძვირი პროდუქტი უკეთესია, ვიდრე იაფფასიანი, და გაგრძელდა პროდუქტის ექსკლუზიურობის დაფასება. იმავდროულად, იყო კლების ტენდენცია იმ რესპონდენტებში, რომლებმაც განაცხადეს, რომ პანდემიის გამო შეიძინეს მეტი პირველადი მოთხოვნის საქონელი, პიკიდან 90.3%-დან 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრამდე 66.7%-მდე 2021 წლის სექტემბერში. კვლევის ეს მიგნებები შესაბამისობაშია ფუფუნების პროდუქტების წილის შემცირებასთან საქართველოს ბაზარზე 2020 წელს და მისი აღდგენის დაწყებასთან 2021 წლიდან. 2022 წლისთვის კი პროგნოზირებულია ბაზრის ამ სეგმენტის 7.6%-იანი ზრდა და მთლიანი შემოსავალი 109.1 მილიონი აშშ დოლარი (Statista, 2021).

გამოკითხვამ დაადასტურა პანდემიის ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი ზემოქმედება მომხმარებელზე. პანდემიამ არსებითი გავლენა მოახდინა შესყიდვის გადაწყვეტილებებზე და შეცვალა მომხმარებელთა ქცევა და მოტივაცია. პანდემიის დროს მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვამ და სერვისის ობიექტების უმრავლესობის დახურვამ ხელი შეუწყო მომხმარებელთა მომსახურების ახალი ვარიანტების განვითარებას და განაპირობა ონლაინ კომერციის ახალი მოდალობების შექმნა და არსებული სისტემების დაჩქარებული განვითარება საქართველოში.

პანდემიის განვითარების კვალობაზე ონლაინ შოპინგის მომხმარებელთა პროპორციის ჩვენს მიერ დაფიქსირებულმა ზრდამ აჩვენა, რომ საქართველოში მომხმარებლები მზად არიან შესყიდვები განახორციელონ ახალი არხების გამოყენებით, განსაკუთრებით ონლაინ პლატფორმების მეშვეობით. ონლაინ-კომერციის სწრაფი განვითარება პანდემიით განპირობებული ერთ-ერთი ის ცვლილებაა, რაც ალბათ გრძელვადიან ხასიათს მიიღებს და პანდემიის შემდეგაც დიდ როლს შეასრულებს (Nosto, 2022). პროგნოზირებულია, რომ 2022 წელს ონლაინ პლატფორმები შემოიტანენ საქართველოში ფუფუნების საქონლის ბაზრიდან შემოსავლის 11.2%-ს (Statista, 2021).

ამავე დროს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შოპინგის ამ ახალი მოდალობის ბენეფიციარები საქართველოში ძირითადად ახალგაზრდებია, ხოლო ≥ 50 წელზე უფროსი

ასაკის პირთა შორის ჩვენს კვლევაში მხოლოდ 8.1% იყენებდა ონლაინ პლატფორმებს შოპინგისთვის. საქართველოში პანდემიის დროს ონლაინ კომერციის სწრაფი ზრდა შეესაბამება მსოფლიოს ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. აღსანიშნავია, რომ ონლაინ პლატფორმების გამოყენება ფართოვდებოდა პანდემიამდეც, მაგრამ ამ პერიოდში ეს პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში (UNCTAD, 2022) და ამჟამად არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ მომავალშიც გაგრძელდება (Nosto, 2022).

COVID-19-მა გამოიწვია მილიონობით ადამიანის სიკვდილი და მკვეთრად შეანელა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში (Di Crosta და სხვ., 2021; Donthu & Gustaffson, 2020; McKinsey and Company, 2020; McKinsey and Company, 2022; United Nations, 2021; Nosto, 2022). შესაბამისად, თანაბრად გადაუდებელი ზომებია საჭირო მისი ფართო ეფექტების მოსაგვარებლად, როგორცაა კონკურენტუნარიანი შიდა პროდუქტების წარმოების გაზრდა შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის წახალისება, ექსპორტის ტემპისა და მოცულობის გაზრდა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ზომების მიღება ოლიგოპოლიური ბაზრების წინააღმდეგ. (Silagadze, Atanelishvili, & Silagadze, 2022).

იმისათვის, რომ უკეთ გაუძლოს პანდემიის გამოწვევებს, კომპანიებმა უნდა მოამზადონ სტრატეგიები, საგანგებო გეგმები და პოლიტიკები თავიანთი სხვადასხვა ფუნქციებისთვის, რაც საშუალებას მისცემს მათ გაატარონ რამდენიმე თვიანი პერიოდები შეზღუდული ან გაყიდვების გარეშე. პრინციპში, ეს უნდა დაეხმაროს საცალო და სადისტრიბუციო კომპანიებს მომავალში განსაზღვრონ მოთხოვნის გარკვეული პიკი კრიზისის შემთხვევაში და, შესაბამისად, შეინარჩუნონ უფრო შესაფერისი მარაგი მათი მომხმარებლებისთვის ღირებულების შექმნით. (Kumar & Reinartz, 2016).

პანდემიის მიერ მომხმარებელთა ქცევაში გამოწვეული ცვლილებების სწორად გააზრებას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის აღდგენის ეფექტიანად წარმართვის ხელშემწყობი გადაწყვეტილებების მიღებას. ეს განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია კომპანიებისთვის, რომლებიც სთავაზობენ ამ პერიოდისთვის არასასურველ საქონელს თუ მომსახურებას და, რომლებიც იბრძოდნენ გადარჩენისთვის მიმდინარე რთულ ეკონომიკურ ვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფები უფრო მეტად დაზარალდნენ პანდემიის ზემოქმედებით. მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ყიდვით ქცევაზე, სავარაუდოდ, გავლენა მოახდინა მათმა ზოგადად დაბალმა მონაწილეობამ აქტიურ სამუშაო ძალაში და დაბალმა შემოსავლებმა ხანდაზმულ მოსახლეობაში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პენსიებზეა დამოკიდებული. ეს მიგნება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დასჭირდება გარკვეული დამატებითი მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი დაცვა პანდემიის განსაკუთრებით გამოხატული უარყოფითი შედეგებისგან.

საქართველოში ბიზნესმენები მუდმივად უნდა აკვირდებოდნენ შიდა და საერთაშორისო ბაზრების განვითარებას, რათა აკონტროლონ მომხმარებელთა ქცევის ცვალებადი ტენდენციები. პარალელურად, უნდა გაგრძელდეს COVID-19 პანდემიის დროს მომხმარებელთა ქცევის კვლევა, რათა უკეთ შევაფასოთ მისი შედეგები, მით უმეტეს, რომ პანდემია ჯერ კიდევ გრძელდება და სიტუაცია განაგრძობს განვითარებას, რაც მოითხოვს შესამჩნევ მოქნილობას და მზადყოფნას მომავალი გამოწვევებისადმი.

3.3. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლების ყიდვითი ქცევის მახასიათებლები

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა გამოკითხვა მოიცავდა 96 ადამიანს, მათგან 49 ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და 47 ცხოვრობდა ინგლისში). შედარების ჯგუფს შეადგენდა საქართველოს მაცხოვრებლებს შორის კვლევის პირველ ორ ფაზაში ჩართული 327 ადამიანი. ამდენად, სულ ამ ანალიზში

ჩართული იყო 423 ადამიანი. კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 4. საქართველოს ფარგლებს გარეთ და საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების (N=423) მახასიათებლები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით.

მახასიათებლები	ჯგუფი 1- საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები (N=96)	ჯგუფი 2 - საქართველოში მცხოვრები (N=327)
	N (%)	N (%)
ასაკობრივი ჯგუფები		
18-29 წლის	11 (11.5)	131 (40.1)
30-49 წლის	51 (53.1)	128 (39.1)
≥50 წლის	34 (35.4)	68 (20.8)
ასაკი წლებში - მედიანა (დიაპაზონი)	44 (19-76)	33 (18-80)
სქესი		
მამრობითი	38 (39.6)	158 (48.3)
მდედრობითი	58 (60.4)	169 (51.7)
ამჟამად დასაქმებულია		
დიახ	85 (88.5)	223 (68.2)
არა	11 (11.5)	104 (31.8)
ამჟამად სტუდენტია		
დიახ	11 (11.5)	79 (24.2)
არა	85 (88.5)	248 (75.8)

კვლევაში ჩართვის დრო		
2020 წლის მარტი-აგვისტო	59 (61.5)	141 (43.1)
2020 წლის სექტემბერი- 2021 წლის იანვარი	37 (38.5)	186 (56.9)

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილია ცხრილებში 5-7. გამოკითხულთა ამ ჯგუფში თითქმის ყველა რესპონდენტმა (99.0%) აღნიშნა, რომ მათმა ფინანსურმა მდგომარეობამ გავლენა მოახდინა მათი შესყიდვის გადაწყვეტილებებზე და რომ საქონლისა და მომსახურების მათი არჩევანი შეიცვალა მათი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებთან ერთად (ცხრილი 5).

ცხრილი 5. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე მომხმარებლის ეკონომიკური სიტუაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით (N=423).

შეკითხვები	პასუხების სიხშირე კატეგორიების მიხედვით, %						ჯგუფებს შორის შედარება*	
	საქართველოში მცხოვრები (N=327)			საქართველოს გარეთ მცხოვრები (N=96)			ბივარიან-ტული ანალიზი**, P	მულტივარიანტული ანალიზი, OR (95% CI); p
	დად.	ნეიტ.	უარყ.	დად.	ნეიტ.	უარყ.		
ჩემს მიერ არჩეული საქონელი/მომსახურება იცვლება ჩემს ეკონომიკურ	89.9	6.4	3.7	99.0	1.0	0.0	0.0157	8.9 (1.3-75.4); 0.0270

მდგომარეობასთან ერთად								
ჩემი ფინანსური მდგომარეობა მოქმედებს ჩემს ყიდვით გადაწყვეტილებებზე	82.1	1.5	6.4	99.0	1.0	0.0	NS	
ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად გამიგრძელებია პროდუქტის შექმნა	25.4	20.8	53.8	17.7	13.5	68.8	0.0337	NS
ზოგიერთ მაღაზიაში შესვლას შეგნებულად ავრიდებივარ, რათა ზედმეტი შექმნა თავიდან ამერიდებინა	38.5	17.1	44.4	14.6	4.2	81.3	0	0.27 (0.14-0.50); 0.0000
სხვებისთვის მითხოვია ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ საყიდლებზე, რათა არ დამეხარჯა ზედმეტად დიდი თანხა	35.5	5.2	59.3	1.0	6.3	92.7	0	0.02 (0.003-0.161); 0.0002
გავლიზიანებულვარ, როდესაც პროდუქტის ყიდვა ვერ შევძელი	37.9	13.8	48.3	16.7	28.1	55.2	0	0.35 (0.20-0.64); 0.0005
<p>დად. – დადებითი, ნეიტ.– ნეიტრალური, უარყ. – უარყოფითი, CI – სარწმუნოობის ინტერვალი (confidence interval), NS – სტატისტიკურად არააღმარებელი (notsignificant), შეესაბამება $p \geq 0.05$</p> <p>* საცნობარო ჯგუფი - საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები</p> <p>**ხი-კვადრატი</p>								

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილმა (17.7%) განაგრძო პროდუქტის ყიდვა ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად. ეს ქცევა ბევრად უფრო ხშირი იყო ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (შესაბამისად, 25.9% და 5.3%; OR, 13.0; 95% CI, 2.31-72.5; p=0.0360) და უფრო მეტად გამოიხატა 2020 წლის მარტ-აგვისტოში, 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვართან შედარებით (შესაბამისად, 27.0% და 11.9%; OR, 5.5; 95% CI, 1.44-21.0; p=0.0126). (ცხრილი 5).

მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის შესაფასებლად დასმულ შეკითხვებზე პასუხები რესპონდენტთა რეზიდენტობის ადგილის მიხედვით მოტანილია ცხრილში 6.

ცხრილი 6. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით (N=423).

შეკითხვები	პასუხების სიხშირე კატეგორიების მიხედვით, %						ჯგუფებს შორის შედარება*	
	საქართველოში მცხოვრები (N=327)			საქართველოს გარეთ მცხოვრები (N=96)			ბივარიან-ტული ანალიზი**, P	მულტივარიანტული ანალიზი, OR (95% CI); p
	დად.	ნეიტ.	უარყ.	დად.	ნეიტ.	უარყ.		
ვცდილობ, ინფორმაცია იმ პროდუქტის შესახებ, რომლის შექმნაც მსურს, მოვიპოვო ინდუსტრიაში მომუშავე პერსონალისაგან	58.4	13.8	28.8	49.0	19.8	31.3	NS	

ჩემი ოჯახის წევრების და მეგობრების პრეფერენციები ახდენს გავლენას ჩემს მიერ შეძენილ პროდუქტზე	57.8	20.8	21.4	41.7	18.8	39.6	0.0013	0.55 (0.34-0.91); 0.0192
ვცდილობ შევიძინო ისეთი პროდუქტი, რომელიც სხვების თვალში ჩემს იმიჯს გაზრდის	40.4	18.6	41.0	30.2	25.0	44.8	NS	
ვთვლი, რომ ძვირადღირებული პროდუქტები უკეთესია ვიდრე იაფფასიანი	69.4	16.8	13.8	68.8	13.5	17.7	NS	
თუკი ვამჩნევ, რომ ის პროდუქტი, რომლის შეძენაც მინდა ბევრ ადამიანს აქვს, ვიცვლი აზრს, რადგან უნიკალურობა აღარ იქნება	41.9	17.1	41.0	50.0	18.8	31.3	NS	
ფუფუნების პროდუქტების შეძენა გამაბედნიერებდა	55.7	24.4	19.9	60.4	25.0	14.6	NS	
პირადად ჩემთვის ფუფუნება ხარისხს ნიშნავს	79.8	8.3	11.9	62.5	21.9	15.6	0.0004	0.37 (0.21-0.4); 0.0004
ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტის ლოგო თვალსაჩინო იყოს	55.4	17.7	26.9	40.6	13.5	45.8	0.0020	0.54 (0.32-0.91); 0.0200

რეკლამის ხარისხი	74.3	11.0	14.7	71.9	7.3	20.8	NS	
ცვლის ჩემს აღქმას პროდუქტის შესახებ								

დად. – დადებითი, ნეიტ.– ნეიტრალური, უარყ. – უარყოფითი, CI – სარწმუნოების ინტერვალი (confidenceinterval), NS – სტატისტიკურად არაადამაჯერებელი (notsignificant), შეესაბამება $p \geq 0,05$

* საცნობარო ჯგუფი - საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები;

**ხი-კვადრატი

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოკითხულთა მცირე ნაწილი აღნიშნავდა, რომ გრძნობდა გაღიზიანებას, როდესაც მათ არ შეეძლოთ სასურველი პროდუქტის ყიდვა (16.7%) ან თავს არიდებდა ზოგიერთ მაღაზიას, რადგან შიშობდნენ, რომ ძალიან ბევრს იყიდიდნენ (14.6%). (ცხრილი 6).

ამ ჯგუფის რესპონდენტთა მხოლოდ 1.0%-მა სთხოვა ვინმეს დანახარჯების შეზღუდვის მიზნით საყიდლებზე მასთან ერთად წასულიყო. ადამიანები, რომლებიც თავს არიდებდნენ ზოგიერთ მაღაზიაში წასვლას, ზედმეტი ყიდვის თავიდან ასაცილებლად უფრო ახალგაზრდები იყვნენ, ვიდრე ისინი, ვინც ამას არ აკეთებდა: ეს ქცევა აღინიშნა 18-29 წლის ასაკის რესპონდენტთა 45.5%-ში, 30-49 წლის რესპონდენტთა 11.8%-ში და ≥ 50 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტების 8.8%-ში. 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის, 18-29 წლის ჯგუფთან შედარებით, OR იყო 0.17; 95% CI, 0.03-0.99; $p=0.0481$; ≥ 50 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის 18-29 წლის ჯგუფთან შედარებით OR იყო 0.08; 95% CI, 0.01-0.65; $p=0.0180$). ასევე, ეს ქცევა უფრო გამოიკვეთა 2020 წლის სექტემბრიდან 2021 წლის იანვრის პერიოდში (აღინიშნა რესპონდენტთა 21.6%-ში) 2020 წლის მარტ-აგვისტოსთან შედარებით (10.2%); OR, 4.3; 95% CI, 1.09-17.02; $p=0.0375$) (ცხრილი 6).

უცხოეთში მცხოვრებ ქართველ რესპონდენტთა უმეტესობა (68.8%) ფიქრობდა, რომ ძვირადღირებული პროდუქტები იაფფასიანზე უკეთესია. ამ მოსაზრების არსებობა დაკავშირებული იყო კვლევაში ჩართვის დროსთან და მისი სიხშირე შემცირდა დროთა

განმავლობაში - 81.4%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში 48.7%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში (OR, 0.21; 95% CI, 0.08-0.56; p=0.0018). (ცხრილი 6).

ამ ჯგუფის რესპონდენტთა 62.5%-მა აღნიშნა, რომ პირადად მათთვის ფუფუნება ხარისხს ნიშნავს. ეს მოსაზრება ასოცირებული იყო ასაკობრივ ჯგუფთან, და მისი სიხშირე შემცირდა 90.9%-დან 18-29 წლის ახალგაზრდებში 68.6%-მდე 30-49 წლის და 44.1%-მდე ≥ 50 წლის ასაკის ადამიანებში (≥ 50 წლის ასაკობრივი ჯგუფის 18-29 წლის ჯგუფთან შედარებისას OR იყო 0.07; 95% CI, 0.01-0.71; p=0.0246). (ცხრილი 6).

ფუფუნების პროდუქტების ყიდვის შესაძლებლობა გაახარებდა გამოკითხულთა 60.2%-ს, ხოლო ბრენდის ლოგოს ხილვა ძალიან მნიშვნელოვანი იყო გამოკითხულთა 40.6%-ისთვის. ეს მოსაზრება ნაკლებად გავრცელებული გახდა დროთა განმავლობაში, COVID-19 პანდემიის გაგრძელების კვალობაზე და 2020 წლის მარტ-აგვისტოში 54.2%-დან შემცირდა 2020 წლის სექტემბერიდან 2021 წლის იანვრის პერიოდში 18.9%-მდე (OR, 0.19; 95% CI, 0.07-0.51; p=0.001). (ცხრილი 6).

უცხოეთში გამოკითხულთა დაახლოებით 1/3-მა (30.2%) აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ შეიძინონ პროდუქტები, რომლებიც გააუმჯობესებს მათ იმიჯს სხვა ადამიანების თვალში. ეს ქცევა უფრო ხშირი იყო ახალგაზრდებში (72.7% 18-29 წლის ასაკში, 29.4% 30-49 წლის და 17.7% ≥ 50 წლის ასაკში; 50 წლის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებისას OR იყო 0.31; 95% CI, 0.02 -0.86; p=0.0347) და სტუდენტებს შორის (72.7% სტუდენტებს შორის და 24.7% არასტუდენტებს შორის; OR, 0.15; 95% CI, 0.02-0.86; p=0.0338). ამასთანავე, ეს ქცევა ასოცირებული იყო კვლევაში ჩართვის დროსთან. დროთა განმავლობაში უცხოეთში გამოკითხულთა შორის მისმა სიხშირემ დაიკლო 39.0%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში 16.2%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში (OR, 0.28; 95% CI, 0.09-0.88; p=0.0290). (ცხრილი 6).

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ რესპონდენტთა ნახევარმა (50.0%) აღნიშნა, რომ თუ პროდუქტი, რომლის ყიდვაც სურთ, ძალიან ბევრ სხვა ადამიანს აქვს, ის შექმნას გადაიფიქრებდა. მრავალგარიანტულ ანალიზში ეს ქცევა ასოცირდებოდა

ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფთან, დაშემცირდა 81.8%-დან 18-29 წლის ახალგაზრდებში 52.9%-მდე 30-49 წლის და 35.3%-მდე ≥ 50 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. ≥ 50 წლის ჯგუფის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებისას OR იყო 0.11; 95% CI, 0.02-0.74; $p=0.0227$). (ცხრილი 6).

ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანთა აზრს მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მხცოვრებ რესპონდენტთა დაახლოებით ნახევრისთვის. რესპონდენტთა 49.0%-მა აღნიშნა, რომ ისინი ინდუსტრიაში მომუშავე პირებისგან მოიძიებენ ინფორმაციას იმ პროდუქტის შესახებ, რომლის შემენაც სურთ (ცხრილი 6).

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (41.7%), მათი ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციები გავლენას ახდენდა მათ მიერ პროდუქტის შესყიდვაზე. ეს გავლენა უფრო ხშირი იყო 18-29 წლის ასაკის (63.6%), ვიდრე 30-49 წლის (41.2%) და ≥ 50 წლის (35.3%) ასაკის პირებში; ≥ 50 წლის ასაკობრივი ჯგუფის შედარებისას 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან OR იყო 0.17; 95% CI, 0.03-0.98; $p=0.0480$). ახლობლების პრეფერენციების გავლენა დროთა განმავლობაში უფრო მეტად გამოიკვეთა და მისმა სიხშირემ მოიმატა 33.9%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში გამოკითხულთა შორის, 54.1%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში გამოკითხულთა შორის; OR, 2.8; 95% CI, 1.15-6.97; $p=0$). (ცხრილი 6).

საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოკითხულთა შორის რეკლამების ხარისხს შეეძლო შეეცვალა რესპონდენტის აღქმა პროდუქტის შესახებ კვლევის მონაწილეთა უმეტესობისათვის (71.9%). დროთა განმავლობაში ამ ქცევის გავრცელებამ მნიშვნელოვნა დაიკლო - 93.2%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში გამოკითხულ პირებს შორის 37.8%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში გამოკითხულთა შორის (OR, 0.04; 95% CI, 0.01-0.15; $p=0$). (ცხრილი 6).

მომხმარებელთა ქცევაზე COVID-19 პანდემიის ზემოქმედების შესაფასებლად დასმულ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა აჩვენა პანდემიის მნიშვნელოვანი გავლენა უცხოეთში მცხოვრები ქართველი რესპონდენტების ქცევაზე. მათმა უდიდესმა ნაწილმა

(93.8%) განაცხადა, რომ პანდემიამ გავლენა მოახდინა მათ სოციალურ აქტივობაზე და ყიდვით ქცევაზე (ცხრილი 7).

ცხრილი 7. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით (N=423).

შეკითხვები	პასუხების სიხშირე კატეგორიების მიხედვით, %						ჯგუფებს შორის შედარება*	
	საქართველოში მცხოვრები (N=327)			საქართველოს გარეთ მცხოვრები (N=96)			ბივარიან-ტული ანალიზი**, P	მულტივარიანტული ანალიზი, OR (95% CI); P
	დად.	ნეიტ.	უარყ.	დად.	ნეიტ.	უარყ.		
კორონავირუსმა იქონია ზეგავლენა ჩემს სოციალურ აქტივობაზე და ყიდვით ქცევაზე	95.1	1.2	3.7	93.8	2.1	4.2	NS	
კორონავირუსმა იმოქმედა ჩემს არჩევანზე თუ რომელ მაღაზიაში ვიყიდი	79.8	7.3	12.9	76.0	5.2	18.8	NS	
კორონავირუსის დროს პროდუქტებს ძირითადად ონლაინ ვყიდულობ	35.4	26.6	37.0	81.3	11.5	7.3	0	18.8 (8.8-39.8); 0
კორონავირუსის დროს ვცდილობ უფრო მეტად საჭირო პროდუქტი შევიძინო	89.3	7.3	3.4	84.3	9.4	6.3	NS	

კორონავირუსის დროს დავფიქრდი იმაზე, თუ როგორ გადავანაწილო ჩემი ბიუჯეტი უფრო ადეკვატურად	83.2	12.2	4.6	78.1	13.5	8.3	NS	
დად. – დადებითი, ნეიტ.– ნეიტრალური, უარყ. – უარყოფითი, CI – (სარწმუნოების ინტერვალი (confidence interval), NS – სტატისტიკურად არაადამაჯერებელი (not significant), შესაბამება $p \geq 0,05$ * საცნობარო ჯგუფი - საქართველოში მცხოვრები რესპონდენტები **ბი-კვადრატი								

კორონავირუსის პანდემიამ საქართველოს გარეთ გამოკითხულთა უმეტესობა (78.1%) დააფიქრა, თუ როგორ გაანაწილონ თავიანთი ბიუჯეტი უფრო ადეკვატურად. ეს ქცევა ძალზე ხშირი იყო COVID-19 პანდემიის ადრეულ ფაზაში და კვლევის მეორე ეტაპისთვის არსებითად შემცირდა - 93.2%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში გამოკითხულთა შორის 54.1%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში გამოკითხულთა შორის (OR, 0.07; 95% CI, 0.02–0.26; $p=0.0001$). (ცხრილი 7).

უცხოეთში მცხოვრებ რესპონდენტთა უმეტესობამ (84.3%) განაცხადა, რომ პანდემიის დროს ცდილობდა უფრო პრაქტიკული პროდუქტების შეძენას. კორონავირუსის პანდემიამ გავლენა მოახდინა რესპონდენტთა 76.0% საცალო ვაჭრობის არჩევანზეც, უფრო მეტად 2020 წლის მარტ-აგვისტოში გამოკითხულთა შორის, ვიდრე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში გამოკითხულთა შორის (შესაბამისად, 88.1% და 56.8%; OR, 0.17; 95% CI, 0.06-0.49; $p=0.0001$). (ცხრილი 7).

უცხოეთში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა (81.3%) ყიდულობდა პროდუქტებს ძირითადად ონლაინ რეჟიმში. უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მომხმარებლებს შორის COVID-19-თან დაკავშირებული ეს ზემოქმედება დაფიქსირდა ყველა ქვეჯგუფში კონკრეტული დემოგრაფიული თუ სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად (ცხრილი 7).

ანალიზის შემდეგი ეტაპი მოიცავდა დროის ერთსა და იმავე პერიოდში გამოკითხულ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მომხმარებელთა ჯგუფებს შორის ყიდვითი ქცევის შედარებას, რამაც გამოავლინა როგორც მსგავსება, ისე მნიშვნელოვანი განსხვავებები (ცხრილები 5-7).

რესპონდენტის პირადი ფინანსური მდგომარეობა ორივე ჯგუფის თითქმის ყველა რესპონდენტის შესყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე ახდენდა გავლენას, მაგრამ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების გავლენა უფრო გამოხატული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებთა შორის (OR, 8.9; 95% CI, 1.3–75.4) (ცხრილი 5).

ორივე ჯგუფში პროდუქტის ყიდვას ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად აგრძელებდა რესპონდენტთა უმცირესობა. ეს ქცევა უფრო ნაკლებად გავრცელებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებთა შორის (13.5% საქართველოს ფარგლებს გარეთ, 25.4% საქართველოში), მაგრამ განსხვავება მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ბივარიანტულ, მაგრამ არა მულტივარიანტულ ანალიზში (ცხრილი 5).

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ რესპონდენტებში, საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლებად იყო გამოხატული გაღიზიანების გრძნობა, როდესაც სასურველ პროდუქტს ვერ ყიდულობდნენ (OR, 0.35; 95% CI, 0.20-0.64), ხარჯების შეზღუდვის მიზნით, ზოგიერთი მაღაზიისთვის თავისარიდება (OR, 0.27; 95% CI, 0.14-0.50) ან ვინმესთან ერთად საყიდლებზე წასვლა (OR, 0.02; 95% CI, 0.003–0.161) (ცხრილი 6).

რესპონდენტთა შესყიდვის ჩვევებსა და პრეფერენციებზე დასმულმა კითხვებმა არ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით იმ რესპონდენტთა პროპორციებში, რომლებიც ძვირადღირებულ პროდუქტებს უფრო იაფფასიანზე უკეთესად თვლიდნენ ან აცხადებდნენ, რომ ძვირადღირებული პროდუქტების შეძენის შესაძლებლობა მათ გაახარებდათ (ცხრილი 6).

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები მნიშვნელოვნად უფრო იშვიათად ფიქრობდნენ, რომ „ფუფუნება ნიშნავს ხარისხს“ (OR, 0.37; 95% CI, 0.21–0.64) (ცხრილი 6). ანალოგიურად, ბრენდის ლოგოს ჩვენება გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო უცხოეთში მცხოვრები ქართველი რესპონდენტებისთვის (OR, 0.54; 95% CI, 0.32–0.91) (ცხრილი 6). არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით იმ რესპონდენტთა პროპორციებში, რომლებიც ცდილობდნენ შეეძინათ პროდუქტები, რომლებიც აძლიერებდნენ მათ იმიჯს სხვა ადამიანების თვალში, ან ვინც შეიცვლიდა აზრს პროდუქტის ყიდვაზე, თუ ის მრავალ სხვა ადამიანსაც ექნებოდა (ცხრილი 6).

ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციების გავლენა პროდუქტის არჩევაზე ნაკლებად იყო გამოხატული საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებისთვის საქართველოში მაცხოვრებელ რესპონდენტებთან შედარებით (OR, 0.55; 95% CI, 0.34–0.91) (ცხრილი 6). სამაგიეროდ, არ გამოვლინდა განსხვავებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ რესპონდენტთა პროპორციებში, რომლებიც ინდუსტრიაში მომუშავე პირებისგან მოიძიებდნენ ინფორმაციას პროდუქტის შესახებ ან რომლებმაც განაცხადეს, რომ რეკლამების ხარისხმა შეცვალა მათი წარმოდგენა პროდუქტის შესახებ. (ცხრილი 6).

პანდემიის გავლენის შესაფასებლად დასმულ კითხვებზე პასუხებმა აშკარა გახადა პანდემიის ძლიერი და ერთნაირად გამოხატული ზეგავლენა გამოკითხულთა ორივე ჯგუფში, გარდა ერთი გამონაკლისისა, როდესაც გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფებს შორის: იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც პანდემიის ადრეულ ეტაპზე ძირითადად ონლაინ ყიდულობდნენ პროდუქტს, გაცილებით მაღალი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველებში, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა შორის (OR, 18.8; 95% CI, 8.8–39.8; $p=0$). (ცხრილი 7).

მთლიანობაში, მრავალვარიანტულ ანალიზში, რესპონდენტთა რეზიდენტობის ადგილთან სტატისტიკურად მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული მომხმარებელთა ქცევის შემდეგი ასპექტები:

- ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების გავლენა პროდუქტის არჩევანზე;
- ხარჯების შეზღუდვის სტრატეგიების გამოყენება, როგორცაა სხვასთან ერთად საყიდლებზე წასვლა ან გარკვეული მაღაზიების თავიდან აცილება;
- გაღიზიანება სასურველი პროდუქტის ვერ ყიდვისას;
- ფუფუნების ხარისხთან გაიგივება;
- ბრენდის ლოგოს წარმოჩენის მნიშვნელობა;
- ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციების გავლენა პროდუქტის არჩევანზე;
- ონლაინ შოპინგის გამოყენება.

ამრიგად, როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოს გარეთ ცხოვრების პირობებში ქართველ მოხმარებელთა ქცევამ განიცადა მნიშვნელოვანი მოდიფიცირება საქართველოში მაცხოვრებლებთან შედარებით, განსაკუთრებით მომხმარებლის მიერ საკუთარი რესურსების უკეთ გაკონტროლების, პრიორიტეტების გადაფასების და მეტი პერსონალური პასუხისმგებლობის მიმართულებით.

ერთი და იგივე გარემოდან გამოსული მომხმარებლები განსხვავებულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებზე. ძირითადად, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი უფრო მეტად ითვალისწინებენ საკუთარ ფინანსურ მდგომარეობას ყიდვითი გადაწყვეტილების მიღებისას და ახდენდნენ ყიდვითი ქცევის უფრო გამონათულ ადაპტირებას შეცვლილ ეკონომიკურ პირობებთან. გარდა ამისა, ისინი გარკვეულწილად ავლენდნენ უფრო მეტ პირად პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებზე და ხარჯების შემცირების მიზნით ნაკლებად მიმართავდნენ სხვასთან ერთად საყიდლებზე წასვლას თუ გარკვეული მაღაზიებისთვის თავის

არიდებს. ისინი აგრეთვე იმყოფებოდნენ ახლობელთა პრეფერენციების ნაკლები გავლენის ქვეშ ამა თუ იმ პროდუქტის შეძენისას.

უცხოეთში მცხოვრებ ქართველი მომხმარებლებში ასევე შეიმჩნეოდა გარკვეული ცვლილებები ფასეულობების და პრიორიტეტების თვალსაზრისითაც, რაც ძირითადად ასახავდა ფუფუნების საგნების შეძენის და სხვებისთვის დემონსტრირების ნაკლებ მოთხოვნილებას და ნაკლებ გაღიზიანებას როცა სასურველი პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა არა აქვთ.

ეს ცვლილებები ქართველი მომხმარებლის ქცევაში ცხადყოფს საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელობას მომხმარებლის ქცევისათვის და, სავარაუდოდ, უკავშირდება იმას, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრების დროს პიროვნება მოკლებულია თავისი ოჯახის, მეგობრების და სხვა ახლობლების სოციალურ წრეს და ჩვეულ მხარდაჭერის სისტემას. ამის გამო ისინი ხდებიან უფრო მეტად დამოკიდებულნი საკუთარ თავზე და უწევთ საკუთარ მოქმედებებზე მეტი პასუხისმგებლობის აღება და შედეგად, უხდებთ ფასეულობებისა და პრიორიტეტების გადაფასება და უფრო რეალისტური ყიდვითი გადაწყვეტილებების მიღება.

ამავე დროს, კვლევამ აჩვენა რომ ყიდვითი ქცევის მთელი რიგი მახასიათებლები სტაბილურია და ნარჩუნდება საცხოვრებელი გარემოს გამოცვლის შემდეგაც. ძირითადად ეს შეეხებოდა ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის ამსახველ ფაქტორებს, როგორცაა მომხმარებლის მიერ ინდუსტრიის წარმომადგენლებისადმი ნდობა როდესაც პროდუქტის შესახებ ინფორმაციას ეძებენ, შეხედულება ძვირადღირებული საგნების უკეთესი ხარისხის შესახებ იაფფასიანებთან შედარებით, მისწრაფება პროდუქტის ექსკლუზიურობისადმი და რეკლამის ხარისხის გავლენით ყიდვით გადაწყვეტილებების შეცვლა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ისეთ ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენილი ქართველი მომხმარებლები, როგორცაა, კორონავირუსის პანდემია, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ძირითადად ერთნაირად რეაგირებდნენ პანდემიასთან

დაკავშირებულ გამოწვევებზე და ცდილობდნენ გამკლავებოდნენ მათ ბიუჯეტის გამოყენების ოპტიმიზაციით, პირველადი მოთხოვნის, აუცილებელი პროდუქტების ყიდვაზე ფოკუსირებით და ა. შ.

ერთადერთი განსხვავება ამ მხრივ შეეხებოდა მომხმარებლის მიერ შესყიდვებისათვის ონლაინ პლატფორმების გამოყენებას, რა ცუფრო გავრცელებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოკითხულ რესპონდენტებში და რაც აიხსნება საქართველოსთან შედარებით ამ პლატფორმების გაცილებით ფართო ხელმისაწვდომობით იმ ქვეყნებში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში. საყურადღებოა, რომ ეს მაჩვენებელი პანდემიის პერიოდში უცხოეთში გამოკითხულთა შორის არ შეცვლილა, საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტებში კი მისმა გავრცელებამ გამოკითხვის მესამე ფაზისთვის მნიშვნელოვნად მოიმატა, რაც ქვეყანაში პანდემიის პერიოდში ონლაინ ვაჭრობის მნიშვნელოვან გაფართოებას და გაზრდილ ხელმისაწვდომობას ასახავს.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- მოპოვებული იქნა წინამდებარე კვლევის ჩატარებამდე მიუწვდომელი ინფორმაცია საქართველოში მომხმარებლის ზოგადი ქცევის გარკვეული ასპექტების შესახებ, რომელთაც კომპლექსური კავშირები აქვთ დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან;
- ქართველი მომხმარებლისთვის ეკონომიკური მდგომარეობა არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს მათ მიერ ყიდვითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ქართველი მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის ცვლილებები განაპირობებს მომხმარებლების ყიდვითი ქცევის შეცვლას, რაც გავლენას ახდენს პროდუქტის არჩევანზე, იწვევს უარყოფით ემოციებს და მომხმარებლებს აიძულებს მიმართონ სხვადასხვა სტრატეგიებს ხარჯების შეზღუდვის მიზნით;
- მომხმარებლის პირადი ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებებზე არაერთგვაროვნად არის გამოხატული სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში და მისი გაუარესებისას უფრო მეტად ზარალდებიან ქალები, 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფი და ამჟამად დაუსაქმებელი პირები;
- ასევე არაერთგვაროვანია ქართველი მომხმარებლის პასუხი ფინანსურ პრობლემებზე: ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად ყიდვის გაგრძელება უფრო სავარაუდოა ქალების მიერ; ამავე დროს, ისინი მამაკაცებზე უფრო მეტად ეყრდნობიან სოციალურ კავშირებს ხარჯვის შეზღუდვის მიზნით;
- ქართველ მომხმარებლებში მაღალია ინტერესი ძვირადღირებული და ისეთი პროდუქტების ფლობის მიმართ, რომლებიც გააძლიერებს რესპონდენტთა გარეგნულ იმიჯს; ხარისხი ხშირად იგივდება ფუფუნებასთან და მაღალი ფასი უკეთესი ხარისხის ინდიკატორად ითვლება; დიდია ექსკლუზიურობის და ბრენდის ლოგოს

თვალსაჩინოების მნიშვნელობა; ძვირადღირებული პროდუქტები ძალზედ სასურველია იმ მომხმარებლებისთვისაც კი, რომლებსაც არ შეუძლიათ მათი შეძენა, რაც ჩვენს კვლევაში გამოვლინდა ახალგაზრდებში, მათ შორის სტუდენტებს შორის ამ პროდუქტებისადმი მაღალი ინტერესით;

- ქართველი მომხმარებელი ყიდვით პროცესში ითვალისწინებს ინდუსტრიის წარმომადგებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ოჯახის წევრებისა და მეგობრების არჩევანს და ხარისხიან რეკლამებს;
- ქართველი მომხმარებლის შესყიდვის გადაწყვეტილებაზე გავლენის ფაქტორები განსხვავდება რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. კერძოდ, ინდუსტრიის წარმომადგენლების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების აზრი უფრო მნიშვნელოვანია ქალებისთვის, ხოლო მამაკაცები უფრო მეტად განიცდიან რეკლამის გავლენას და ქალებზე უფრო მეტად აინტერესებთ პროდუქტები, რომლებიც აუმჯობესებს მათ იმიჯს;
- ქართველ მომხმარებლებში ძვირადღირებული პროდუქტებისადმი დამოკიდებულება განსხვავდება დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით. კერძოდ, ახალგაზრდებს უფრო მეტად აინტერესებთ ექსკლუზიური, თვალსაჩინო ლოგოს მქონე პროდუქტები, რომლებიც აუმჯობესებს მათ იმიჯს; 30-დან 49 წლამდე ასაკის პირები ყველაზე მეტად ეცევიან რეკლამის გავლენის ქვეშ;
- წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლენილი ყიდვით ქცევაზე გავლენის მომხდენი ფაქტორების გათვალისწინებით, ეფექტიანი სტიმულაციის კამპანიას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქართველი მომხმარებლის ქცევაზე;
- წინამდებარე კვლევამ გამოავლინა COVID-19 პანდემიით გამოწვეული ყიდვითი ქცევის ცვლილებები საქართველოში მცხოვრებ მომხმარებლებში. მომხმარებლებზე პანდემიის საბოლოო გავლენა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო საგრძნობი იქნება, რადგან პანდემიის ძირითად ტალღებს ადგილი ჰქონდა საკვლევი პერიოდის დასრულების შემდეგ.

- კორონავირუსმა გავლენა იქონია ქართველი მომხმარებლის ყველა ჯგუფის სოციალურ აქტივობასა და ყიდვით ქცევაზე, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ასაკის მატებასთან ერთად;
- კორონავირუსის პანდემიის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის ზეგავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებაზე, რაც კვლევის ბოლო პერიოდისათვის დაადასტურა რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ;
- პანდემიის დროს ქართველი მომხმარებლები უფრო ეკონომიური გახდნენ. მათ დაიწყეს მეტი ყურადღების მიქცევა არსებული სახსრების ეფექტიანად განაწილებისა და საცალო მოვაჭრეების არჩევანისადმი და ფოკუსირდნენ უფრო პრაქტიკული პროდუქტების შეძენაზე. პანდემიის პროგრესირებასთან ერთად შემცირდა იმ ადამიანთა წილი, ვინც აგრძელებდა პროდუქტის ყიდვას ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად;
- პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა საქართველოში მცხოვრები მომხმარებლების მიერ შესყიდვებისთვის ონლაინ პლატფორმების გამოყენებამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, რამაც აჩვენა, რომ საქართველოში მომხმარებლები მზად არიან შესყიდვები განახორციელონ ახალი არხების გამოყენებით, კერძოდ, ელექტრონული კომერციის პლატფორმებით;
- ქართველი მომხმარებლის დამოკიდებულება ფუფუნების პროდუქტების მიმართ პანდემიის პერიოდში ძირითადად სტაბილური იყო. ძვირადღირებული პროდუქტების მიმართ ინტერესი ერთგვარად შემცირდა, მაგრამ დარჩა ზოგადი აღქმა, რომ უფრო ძვირი პროდუქტი უკეთესია, ვიდრე იაფფასიანი, და გაგრძელდა პროდუქტის ექსკლუზიურობის დაფასება თუ ინტერესი იმიჯის გამაუმჯობესებელი პროდუქტების შეძენისადმი;
- საქართველოში არ დაფიქსირდა პანდემიის პერიოდში ინდუსტრიის წარმომადგენლებისადმი მომხმარებლის ნდობის კლება, რასაც ბოლო წლებში ბევრ სხვა ქვეყანაში ჰქონდა ადგილი;

- საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრების პირობებში ქართველ მოხმარებელთა ქცევამ განიცადა მნიშვნელოვანი მოდიფიცირება საქართველოში მაცხოვრებლებთან შედარებით, განსაკუთრებით, მომხმარებლის მიერ საკუთარი რესურსების უკეთ გაკონტროლების, პრიორიტეტების გადაფასების და მეტი პერსონალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ეს ცვლილებები ქართველი მომხმარებლის ქცევაში ცხადყოფს საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელობას მომხმარებლის ქცევისათვის;
- ყიდვითი ქცევის მთელი რიგი სხვა მახასიათებლები სტაბილურია და ნარჩუნდება საცხოვრებელი გარემოს გამოცვლის შემდეგაც. ძირითადად ეს შეეხება ეფექტიანი სტიმულაციის პოტენციური გავლენის ამსახველ ფაქტორებს;
- კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულ ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩენილი ქართველი მომხმარებლები, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ძირითადად ერთნაირად რეაგირებდნენ პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლები შესყიდვებისათვის გაცილებით უფრო ფართოდ იყენებენ ონლაინ პლატფორმება, ვიდრე საქართველოში მცხოვრებნი, რაც აიხსნება საქართველოსთან შედარებით ამ პლატფორმების გაცილებით ფართო ხელმისაწვდომობით იმ ქვეყნებში, სადაც გამოკითხვა ჩატარდა. საქართველოში მცხოვრები რესპონდენტებისაგან განსხვავებით, უცხოეთში გამოკითხულთა შორის ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა დროთა განმავლობაში პანდემიის პროგრესირებასთან ერთად;
- წინამდებარე კვლევის მიგნებები დაეხმარება საქართველოში მოქმედ კომპანიებს მარკეტინგული თუ სარეკლამო გადაწყვეტილებების მიღებაში და კონკრეტული აუდიტორიებისადმი გამიზნული სხვა ინტერვენციების დაგეგმვაში;
- ამ კვლევით გამოვლენილი პანდემიასთან დაკავშირებული ცვლილებების და მათზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სამთავრობო თუ კერძო

ორგანიზაციების მიერ პანდემიის შემდგომ საქართველოში ეკონომიკური მაჩვენებლების აღდგენისადმი მიმართული ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას;

- კვლევით გამოვლენილი ყიდვითი ქცევის განსხვავებები დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის, სავარაუდოდ, ასახავს მომხმარებელთა მოტივაციების, სოციალური როლების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის და თავიანთ სტატუსში დარწმუნებულობის დონის არაერთგვაროვნებას, ასევე ურთიერთქმედებებს ამ ქვეჯგუფების შიგნით და მათ შორის. ამ ფაქტორების დეტალურად გასაშუქებლად საჭიროა უფრო სიღმისეული და კონკრეტული საკითხებისადმი მიმართული დამატებითი კვლევები;
- მომხმარებლის ქცევის მუდმივი ცვალებადობის გამო, საჭიროა მისი კვლევისთვის განგრძობითი, რეგულარული ხასიათს მიცემა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია ჯერ არ დასრულებულა და მისი გრძელვადიანი ეფექტები გაურკვეველია;
- ხანდაზმული ასაკობრივი ჯგუფები უფრო მეტად დაზარალდნენ პანდემიის ზემოქმედებით რაც, სავარაუდოდ, უკავშირდება მათ ნაკლებად ჩართვას აქტიურ სამუშაო ძალაში და დაბალ შემოსავლებს ხანდაზმულ მოსახლეობაში, რომლებიც მნიშვნელოვანწილად პენსიებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ხანდაზმულ ადამიანებს და ასევე, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვა ჯგუფებს დასჭირდება გარკვეული დამატებითი მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი დაცვა პანდემიის განსაკუთრებით გამოხატული უარყოფითი შედეგებისგან;
- მთლიანობაში, კვლევის შედეგების გაცნობა რეკომენდებულია შესაბამისი პროფილის მკვლევარების, სტუდენტების, მიგრანტების, ელექტრონული ვაჭრობის გაფართოების მსურველი პირებისა და ასევე ფართო საზოგადოებისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. ბახტაძე, ლ., ვეშაპიძე, შ., ზუბიაშვილი, თ., ფუტყარაძე, რ. (2021). საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია (რიდერი), თბილისი.
2. ბერიშვილი, ხ. (2012) საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესი (International tourism business), რედაქტორები ჯოლია, გ. და ხანჯალაძე, ს. თბილისი, „უნივერსალი“.
3. გველესიანი, რ., გოგორიშვილი, ი. (2018). გადაწყვეტილებების მიღების ტექნოლოგია ეკონომიკურ პოლიტიკაში (რედ.: პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი). თბილისი, „უნივერსალი“.
4. ვეშაგური, მ. (2019). მომხმარებელთა ქცევა (რიდერი). თბილისი. <https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/momx.qceva.pdf> 15.06.2022.
5. ვეშაპიძე, შ., სიჭინავა, ა. (2015). თანამედროვე ეკონომიკური მოდელები: ღრუბულებები, მიღწევები, თავისუფლებები. თბილისი, ბიზნეს-ინჟინერინგი. 2015-03; გვ. 36-42.
6. თოდუა, ნ. (2012). საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
7. მარღია, ც. (2020). მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა. კვლევითი ნაშრომი. https://www.mof.ge/images/File/2021-publikaciebi/04-08-2021/WP_01_2020.pdf 15.06.2022.
8. მიროი, ა. (2020). ფორსმაჟორულ სიტუაციაში მომხმარებლის ქცევის შესწავლა ქართულ ბაზარზე. სამაგისტრო ნაშრომი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი. <https://openscience.ge/bitstream/1/2042/1/Samagistro%20Miroi.pdf> 15.06.2022.

9. საერთაშორისო ბიზნესი (2011). ავტორთა კოლექტივი პროფ. თ. შენგელიას ხელმძღვანელობით. თბილისი.
10. საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://nbg.gov.ge> 15.06.2022.
11. საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32974?publication=12> 15.06.2022.
12. საქართველოს მთავრობა. (2020). კოვიდ 19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. 2020. https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf 15.06.2022
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka> 15.06.2022.
14. სილაგაძე, ა. (2010). ეკონომიკური დოქტრინები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი.
15. სიჭინავა, ა, გოგორიშვილი, ი. (2012). საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები. თბილისი.
16. შენგელია, თ. (2015). მულტიკულტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ბიზნესის განმსაზღვრელი დეტერმინანტი, თბილისი, „უნივერსალი“.
17. ხარიტონაშვილი, ჯ. (2019). ეკონომიკური აზრის ისტორია, მე-2 გამოცემა. თსუ, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Kharitonash.pdf 15.06.2022.
18. ხიხაძე, ლ. (2012). ქართული ფირმების საერთაშორისო ბაზარზე გასვლის სტრატეგიები: რეალობა და პერსპექტივები. ეკონომიკა და ბიზნესი, #4 (ივლისი-აგვისტო), გვ. 96-102.
19. ხიხაძე, ლ. (2012). საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე ასპექტები. სამეცნიერო შრომების კრებული (ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში). თბილისი.

20. ხიხაძე, ლ. (2014). საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების თანამედროვე მეთოდები და სამართლებრივი ასპექტები. თბილისი.
21. ჯამაგიძე, ლ. (2012). გლობალური კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები. „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 23-24 მარტი, 2012. გვ. 266-270.
22. ჯაში, ჩ. (2012). საწარმოო მარკეტინგი (ლექციების კურსი). თბილისი <https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/leqciebiskursimarketingi.pdf> 15.06.2022.
23. ჯგერენაია, ე. (1998). სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, დემოკრატიის ქართული ინსტიტუტი. თბილისი
24. Business Media Georgia (2020). კვლევა: როგორია საქართველოში მომხმარებლის ქცევა COVID-19 პანდემიის პირობებში? 6 მაისი, 2020. <https://bm.ge/ka/article/kvleva-rogoria-saqartveloshi-momxmareblis-qceva-covid-19-pandemiis-pirobebshi/5576015.06.2022>
25. Alderighi, M., Nava, C. R., Calabrese, M., Christille, J.-M., & Salvemini, C. B. (2022). Consumer perception of price fairness and dynamic pricing: Evidence from Booking.com. Journal of Business Research, 145 (June), 769–783.
26. Arcserve (2022). <https://www.arcserve.com/blog/5-reasons-ransomware-protection-mission-critical-enterprise-level> 15.06.2022.
27. Ariely, Dan (1998). „Combining Experiences Over Time: The Effects of Duration, Intensity Changes and On-line Measurements on Retrospective Pain Evaluations,“ Journal of Behavioral Decision Making, 11(1), 19-45.
28. Armstrong G. Kotler P. (2005). Marketing: an introduction, Upper Saddle River, N.J Pearson Education International.

29. Backhaus, K. Hillig, T. and Wilken, R. (2007). „Predicting purchase decision with different conjoint analysis methods“, International Journal of Market Research. 49(3). pp. 341-364.
30. Bakhtadze, L. & Danelia, S. (2010.) The Major Determinants of Innovative Environment Formation in Georgia. Economic Alternatives, University of National and World Economy, Sofia Bulgaria; issue 2, pp. 243-249.
31. Bakhtadze, L. & Danelia, S. (2017). Globalization and Modern Problems of Country Development. Global Business Research conference, 13-14 July, 2017. LIUC-Universita Cattaneo, Milan, Italy.
32. Bakhtadze, L. & Sartania, T; (2019). Trade relations and Export Orientation Prospects of Georgia Economy on EU market. 11th Economics & Finance Conference, Rome, 27-30 May, 2019.
33. Beatty, S. E. & Ferrell, M. E. (1998). Impulse buying modeling its precursors. Journal of Retailing, 74, 169-191.
